პიონერი

1926 სახელმწიფო გამომცემლობა. № 4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

		გვ.
1	ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლა—**შანის**	2
2.	უპატრონონი ვერის ხიდზე—**ხ. ე—ს**	3
3.	მებრძოლი—პოემა—**კ. ლორთქიფანიძის**	7
4.	სილვერი—**ე. ზოლას**	10
5.	ნანგრევებსა და დახოცილთ შორის—**გ. შმერლინგის**	15
6.	პიონერი ოჯახში—**ნოვინ**	17
7.	ჩვენი ძმები მსოფლიოში	19
8.	ჩვენი უახლოესი მეზობელი პლანეტა მარსი—**ლეოს**	21
9.	ბავშთა შემოქმედება	24
10.	გასართობი	

3-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

პიონერი

1926
30 ნოემბერი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს ს. კ. ო. ეენტრალური მიწოს (საქ. ა. ო. კომკავშირის ცენტრთან) ქურნალი მაგზეისათვის

წელიწადი I
№ 4

ამხ. ს. ორჯონიკიძე.

ს. ს. რ. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარი, საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე და სახ. კომ. სან. და შრომის და თავდაცვის საბ. თავმჯდომარის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლა

დღეს იწყება, „ბავშთა მეგობრების“ საზოგადოების სამდღიური.

ამ სამდღიურმა—19, 20, 21 ნოემბერს—უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ ეპყრობა მშრომელი ხალხი ერთ ერთ უსაშინელეს სოციალურ უბედურებათაგანს, როგორიც არის ბავშთა უპატრონობა.

აუცილებლად ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, და მით უმეტეს პიონერებს—ბავშთა მოწინავე რაზმს, რომ ბავშთა უპატრონობა მემკვიდრეობაა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომისა და აგრეთვე სტიქიურ უბედურებათა, როგორიცაა 1921 წლის შიმშილი საბჭოთა რუსეთში, ამა წლის მიწისძვრა ლენინაკანში და სხვა.

იმ მიზნით, რომ მომავალი საზოგადოებისათვის გადარჩენილ და შენარჩუნებულ იქნას უპატრონო ბავშები და აგრეთვე იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოება დაცულ იქნას სოციალურად საშიში ელემენტებისაგან (ქურდ-ბაცაცებისაგან, ყაჩღებისაგან, კაცის მკვლელებისაგან და სხვ.), როგორიც იქნებიან და როგორიც ნაწილობრივ ახლაც არიან უპატრონო ბავშები, საბჭოთა ხელისუფლებ დიდ ენერგიას იჩენს და აფორებელ თანხას ხარჯავს ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლისათვის; ის აწყობს ბავშთა სახლებს, კოლონიებს, სახელოსნოებს და სხვ. მაგრამ გაჭირვება იმდენად დიდია, უპატრონო ბავში ისე მრავალია, რომ ხელისუფლების მიერ გადებული თანხები ვერ აკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნილებებს.

ამიტომ ამ საქმეში აუცილებლად საჭიროა საზოგადოების ინტერესი, საზოგადოების აქტიობა და თვითმოქმედება, პირველ რიგში კი, რასაკვირველია, პიონერების, კოლექტივების და ფორპოსტების.

რაში უნდა გამოიხატოს პიონერის მუშაობა ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლაში?

უპირველეს ყოვლისა, ის შეიძლება გამოიხატოს „ბავშთა მეგობრების“ საზოგადოების უჯრედთა მოწყობაში, „ბავშთა მეგობრების“ საზოგადოებაში წევრებად ჩაწერაში, საღამოების და წარმოდგენების მოწყობაში, შემოწირულებათა შეგროვებაში და სხვ.

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არ არის. პიონერებმა უპატრონო ბავშთა შორის, რამდენადაც შეაძლებელია, აღმზრდელობითი მუშაობაც უნდა აწარმოონ.

უპატრონო ბავშები, როგორც ვიცით, ქუჩებში ეძებენ გართობას. აი, ამ მდგომარეობით უნდა ისარგებლონ პიონერებმა.

პიონერ-ორგანიზაციებს ხომ აქვსთ მთელი რიგი ისეთი თამაშობისა, რომელიც ყოველმხრივ გამოსადეგია ბავშებისათვის? ამიტომ, ჩვენი აზრით, ძნელი არ იქნება ასეთი ბავშების ჩამბმა ორგანიზაციაში.

ვთქვათ, უპატრონო ბავშებმა თავი მოიყარეს რომელიმე ეზოში სათამაშოდ; მაშინ ამ თამაშობაში ერევიან ამავე ან მეზობელ ეზოში მცხოვრები პიონერები და ცდილობენ, ბავშების ყურადღება მიიქცეონ და თამაშობა ისე წაიყვანონ, რომ ყველანი დაინტერესონ.

პირველ შემთხვევაში ცუდი არ იქნება (საქმის გასაადვილებლად), რომ უპატრონო ბავშებთან ახლო მდგომი პიონერი მათ თავის ამხანაგსაც უწოდებდეს. ამ საშუალებით თამაშობაც უფრო გაადვილდება, სხვებსაც უფრო მეტად დაინტერესებენ. მაშასადამე, პირველი საშუალება უპატრონო ბავშთა შორის ავტორიტეტის მოსაპოვებლად არის საინტერესო თამაშობა. თუ პიონერებმა ცოტაოდენი ავტორიტეტი მაინც მოიპოვეს ბავშებში, მაშინ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ნახევარი მუშაობა უკვე შესრულებულია.

როდესაც პიონერები უპატრონო ბავშებში ავტორიტეტს მოიპოვებენ, მათ შეუძლიათ გადავიდნენ სხვა რთულ მუშაობაზე. მუშაობის ასეთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს პიონერების მიერ კოლექტივის ცხოვრებიდან სხვადასხვა ამბების მოყოლა, მათი დასწრება კრებებზე და სხვა.

ამგვარი მუშაობით პიონერებს შეუძლიათ ეს ბავშები სრულიად მოსწყვიტონ ქუჩას და საზოგადოებისთვის სასარგებლო პირებად აქციონ.

ღამის სათევი ბინებიდან, სასადილოებიდან—შრომის კომუნისაკენ,—აი, ჩვენი ლოზუნგი.

„ბავშთა მეგობრებო“, დაადარუნეთ უპატრონო ბავშები მშრომელთა რიგებში!

საბჭოთა საქართველოს ნორჩო თაობავ, არ დაივიწყო, რომ დახმარება უნდა აღმოუჩინო უპატრონო ბავშებს!

შანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უპატრონონი ვერის ხიდზე

(ნამდვილი სურათები)

ოქტომბრის ცივი ღამეა...

უვარსკვლაო ცა ანისლდა, დღით ახმაურებული ტფილისი საძილად სთვლემს, მაგრამ ძილს არ აპირებს...

კლუბები ზაფხულის სეზონს ემშვიდობებიან საზეიმო საღამოებით...

ტრამვაის უკანასკნელი რონოდა ელვის სისწრაფით მიჰქრის პარკში...

ვერის ღიმართზე მტვერს აყენებს გიჟი ავტომობილის გაქანება...

მეეტლეს ჩასძინებია ეტლის კოფოზე, მუშტრის მოლოდინში, და გამხდარი ცხენები ამოდ ელიან შილტს...

ქალაქის ელექტრო-სადგურის აზიდული მილი გუნდ-გუნდად ისვრის შავი კვამლის რიგებს...

ზაჰესთან ნამარი მტკვარი ნელა მოდუდუნებს და გულში იხუტებს ელექტრობის ანარეკლს...

მარცხენა მხარეზე სიჩუმით გამოიყურება სულით ავადმყოფთა თავშესაფარი...

სატიოზე ლანდივით სერავს მტკვრის ფაფარს რკინის აპეურზე გაკრული ბორანი და საორტილერიო ყაზარმები მრისხანე გუშაგად გადმოსდგომიან საბურთალით...

ვერის ხიდზე მუდმივი სტუმარი, ქარი, მავთულებზე აზუზუნებს უცნობ სიმღერას და ცივფრთება ალერსით უვლის დავლურს...

კლუბიდან დაბრუნებული ლეო შინ მიეჩქარება, ხიდზე ფეხს უმატა. დღეს კლუბში გამართულ საღამოზე ლეოც იღებდა მონაწილეობას და ხალხმა სამჯერ გამოუძახა სცენაზე. ის კმაყოფილია ასეთი შეხვედრით, მას უხარია, მაგრამ ეს ფიქრები უეცრად ორმა უჩინარმა ხელმა შეაწყვეტინა.

— დიადია, პოეტი ნას, ბეზპრიზორნიხ!— მოესმა მას ხიდის მოაჯირიდან, იქიდან, სადაც მაღალ სანათის სვეტს ძირში გამოფულრული აქვს პატარა კარით...

ლეო გამოერკვა, შეკრთა კიდეც, შესდგა.

— მელანდება, თუ რა არის ეს გამხდარი, ჩონჩხად ქცეული ხელის გამოწვდა?—მოსწყდა მის ტუჩებს...

— აქ? ამ დროს? ვინ? ნუთუ სამოქალაქო ომის შედეგთა ტალღა ისე ძლიერია, რომ ვერის ხიდსაც მისწვდა? მაშინდელ დახოცილ მებრძოლთა დაობლებული შვილები მსოფლიოს მეექვსედს ისე მოედენ, რომ ბინა ვეღარსად უპოვიათ და ვერის ხიდს შეჰფარვიან? ან როგორ მოაგნეს ამ ფუღუროს? რამ, რამ აფიქრებიათ აქ ბინის დადება?

ერთი-მეორეზე შემოესია ლეოს ამ კითხვების ქარავანები...

და გაახსენდა მას თავისი სიყრმე, ბავშობა, როდესაც 1905 წლის მოძრაობა დამარცხდა, გამეფდა საშინელი რეაქცია, მუშა და გლეხ რევოლუციო-

ნერგების დევნა, ციმბირში გადასახლება, ციხეების ავსება, კატორღაში გაგზავნა, დახვრეტა, სახრჩობელაზე აყვანა ხალხის საუკეთესო შვილებისა, მეფის ჯალათების მიერ სოფლების და ქალაქების გადაბუგვა ცეცხლით, განადგურება, ხანმოკლე თავისუფლების სისხლში ჩახრჩობა;—მაშინაც ხომ ეს ხანა იყო, ოქტომბრის თვე, ლამაზი, დღევანდელი ძღვევამოსილი ოქტომბრის წინამორბედი, უკვდავი წყარო, მარადიული ყივილით...

მოუყრიათ თავი თავიანთ ბინასთან...

აგერ უკვე ოცდაერთი წელია მას აქეთ. მაშინ ხომ სულ რვა წლისა იყო და ისე ახსოვს ყველაფერი, თითქოს გუშინ მომხდარიყოს...

რა მისი მამა ნაძალადევში მოჰკლეს ყაზახებმა, დედასაც დიდი ხანი არ უცოცხლია მას შემდეგ, დაქლეიქდა, ჯავრს გადაჰყვა და ლეო ობლად დარჩა; ხან ვის აფარებდა თავს და ხან ვის. მის პაწია გულში ვერ ეტეოდა დიდი შურისძიება მშრომელთა ჯალათებზე. მან ფიცი დასდო მშობელთა სამარეზე, რომ, როცა გაიზრდებოდა, გადაუხდიდა მტრებს სამაგიეროს...

ერთხელ, რა ქუჩა-ქუჩა უპატრონო ხეტიალით თოაშინდისკენ მიდიოდა შორეულ ნათესავთან ღამის გასათევად, ვერის ხიდს შეადგა. უკვე ბინდდებოდა და რადგანაც მაშინ ქალაქში სამხედრო წესები იყო, უფრო კი საალყო, დაბინდების შემდეგ ხალხის გამოსვლა ქუჩაში აკრძალული იყო, თუ არა საგანგებო ნებართვით. პატრულები დადიოდენ ქუჩებში, ხიდების ორივე მხარესაც აყენებდენ მცველებს. სწორედ ასეთ მომავალ პატრულს შეხვდა ლეო. წინ წასვლა არ შეიძლებოდა, აღარც უკან შეიძლებოდა დაბრუნება, რადგან იქიდანაც გამოჩნდენ ცხენოსანი ყაზახები...

ლეომ იცოდა, რომ ესენი ხშირად ხოცავდენ მოქალაქეებს, არ ინდობდენ არც ქალებს, არც ბავშებს; ბევრს, ხიდზე მისწრებულს, პირდაპირ მდინარეში გადაუძახებდენ ხოლმე, და შეშინდა; არ იცოდა, რა ექნა; ყოველმხრივ ალყაა; არჩია ამ[illegible] კვდილი და რა გადასწყიტა მტკვარში გადახტომა, შეამჩნია ეს სვეტი, დაბლა ოდნავ გაღებული კარით, სადაც ეხლა ოთხი გამხდარი ხელი იყო მის წინ გამოყოფილი. ბევრი აღარ უფიქრია და შეძვრა შიგ...

მთელი ღამე გაატარა იქ, დილამდის, ვიდრე ყარაულები არ მოიხსნენ, შიშში და სიკვდილის მოლოდინში. აქ მას ესმოდა დარაჯების სიმღერა, გინება-ჭოქარა ვიდაცისადმი. აქ შემოესმა ვიღაც ქალის წივილიც, რომელსაც ყაზახები არ იცოდა, რა დღეს აყრიდენ, სკარცავდენ თუ ჰკლავდენ. აქ მის ყურს არ გამოეპარა ბორკილების ჩხარუნი. ალბათ, ტუსაღები თუ გაატარეს...

— დიდია დაი შტო ნიბუდ, ჩაკო ზადუმალსია?—ამ სიტყვებმა გამოარკვიეს ლეო; გული აუტირდა, შეიხედა ამ პატარა სოროში და შეამჩნია ორი ბავშის თავი, ოთხი ელვარე თვალით.

— ამა, გამოდით!

გამოიყვანა ორივე...

— წამომყეთ...

— საით? —ეკითხებიან ბავშები.

მიდიოდა ლეო და მიჰყავდა თან ბავშები, თავშიშველნი, ფეხებდამსკდარნი, ქუქყიანები.



დიადია, დაი შტო ნიბუდ...

მთავრობა თუმცა ზრუნავს უპატრონო ბავშებზე, მაგრამ ამდენ ათასეული ნორჩ ბავშთა გადარჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაში ხალხიც უნდა დაეხმაროს, უნდა რამე იღონოს, რომ არ დაიღუპონ ეს ბავშვები...

ასე ფიქრობდა ლეო...

ფრთაწყვეტილი ქარი კი ვერის ხიდის მავთულებზე აკიკვლებდა ოქტომბრის ჰიმნს...

II

რა სახლს მიუახლოვდა ლეო, მეზობელი მეწვრილმანე გაიღვიძა, გამოართვა ყველი, ძეხვი, შეუარა მეპურეს, რომელიც სადილოდ უკვე ჭყრიდა თონიდან პურს, პური გამოართვა, შეიყვანა ბავშვები თავის ოთახში, აჭამა, გაუშალა, რაც ჰქონდა, ერთად დააწვინა, თვითონ კი ლექციის წერას შეუდგა...

მეორე დილას, რა ბავშვები ადგენ, შემოისხა გვერდზე, და გუმასპინძლდა. დაუწყო გამოკითხვა, რა ერქვათ, გვარი, ვისი შვილი იყვნენ, რომელი მხრიდან—და ყველაფერი ჩაიწერა.

მეორე დილას, რა ბავშვები ადგენ, ლეომ შემოისხა ისინი გვერდზე და გუმასპინძლდა...

— შენ, პატარავ, რა გქვიან? — შეეკითხა უმცროსს ღიმილით და ალერსით ხელი გადაუსვა ქერათმიან თავზე...

— მე, ძია, პეტია,—მიუგო მან. ბავშს დაევადმყოფება ეტყობოდა; აცივებდა; ფერმკრთალ სახეს დიდი ტანჯვის გამოვლა ეტყობოდა, დალურჯებული ტუჩები უცახცახებდა; ჩაღრმავებული ქუთუთოებიდან ცისფერი თვალები სევდიანად გამოიყურებოდა.

მან უამბო ლეოს, თუ შიმშილობის წელიწადს ვოლგაზე როგორ ამოწყდა მათი ოჯახი და ის როგორ წამოიყვანა ერთმა ჯარის მეთაურმა, იშვილა, მაგრამ ის თეთრებთან ომში მოჰკლეს და დარჩა ისევ ობლად. სად არ იარა, სად არ იყო! ზამთარზაფხულ სულ ქუჩაში, მშიერი, ტიტველი, უსახლკარო—და ბავშს თვალები აუცრემლდა.

— მამაჩემი ზეინკალი იყო, დედა—მრეცხავი,—განაგძობდა ბავში, მაგრამ ლეომ შეაჩერა, დაუსვა, გაამხნევა...

— ნუ გეშინია, ჩემო პატარა, მთელი ხალხი იქნება შენი მშობლები, მოგვილის, გაგზრდის, გასწავლის, ნამდვილი მოქალაქე, სრულუფლებიანი წევრი შეიქნები საბჭოთა კავშირისა,—არიგებდა ლეო, თან ისმენდა მათ ამბებს, რომელსაც ბავშები ერთიმეორეზე მოუსვენრად მოუთხრობდენ...

მათი ნაამბობით, რომელსაც ისინი მოუთხრობდენ სიცილით, ვითომც აქ არაფერიაო, თმა ყალყზე უდგებოდა ლეოს, ჟრუანტელი უვლიდა; სად არ ყოფილან ეს ბავშები, რა თავის კერას მოგლეჯილან და აყოლიან აუტანელი ცხოვრების ტალღებს, რომელიც ხან საით ანარცხებდა, თურმე, და ხან საით! გარდა პატარა გრძნობიერი პეტიასი, სხვებს აღარ ახსოვდათ თავისი მხარე და აღარც ფიქრობდენ იქ დაბრუნებას. მათთვის სულ ერთია, სად დაუღამდებათ და სად გაუთენდებათ, ოღონდ ლუკმაპური კი იშოვნონ...

III

— ხომ მოხვალ ხოლმე, ძია, ხომ გვინახულებ ხშირად?—შეეკითხა პეტია, რა ლეომ უამბო თავისი გადაწყვეტილება სამავშო კომუნაში მათი მოთავსების შესახებ...

— ყოველთვის გნახავთ ხოლმე... დაჰპირდა...

ბავშები მოეწყენ კომუნაში; ხშირად ნახულობდა...

— რუსეთში ძალიან ბრუნავენ უპატრონო ბავშებზე. არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ, — ეუბნებოდა ლეო კომუნის გამგეს...

— დიახ, უსათუოდ, მაგრამ ზოგიერთი ვერ ეკუბება ჩვენს მზრუნველობას...

ბევრჯერ მოიყვანეს ასეთი ბავშები აქ, მაგრამ მეორე დღესვე, აი, აგერ, კედელზე გადახტებიან და გაიპარებიან ხოლმე. ქუჩაში ხეტიალს, ერთი ქვეყნიდან მეორეში სიარულს უფრო ამჯობინებენ,—გულის ტკივილით მიუგო მან ლეოს.

— შენ, პეტიკო? შენც ხომ არ აპირებ გაქცევას?—შეეკითხა ლეო.

— არა, ძია. მე აქედან არასოდეს არ წავალ, მინამ გამგე არ მეტყვის...

მე უკვე ანაბანა შევისწავლე, დღეს რვეულები და ფანქრები დაგვირიგეს... ამკვირაი აბანოში ვიყავით კიდევ. აი, რა კარგი ხალათი ჩამაცვეს, შარვალი, ჩუსტები, ქუდი,—და ბავში აღტაცებით მოუთხრობდა თავის სიხარულს ბავშთა კომუნაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ოქტომბრის დღესასწაული ფრთებს შლიდა ნოემბრის შვიდს...

წითელი დროშების ტყეები აყავდა ქალაქის ქუჩებზე...

ძია ლეო!—შეჰყვირა სიხარულით...

შემოდგომის მიწურულს მაინც ახალისებს მზის სიცილი...

გუგუნებს მუსიკა...

მშრომელი ხალხი იხდის თავისი გამარჯვების ტრადიციულ ზეიმს...

აგერ ქარხნის მუშები, მუშაქალები, წითელარმიელები, კომკავშირელები, მოწაფეები, პიონერები და საბავშო კომუნის ბავშები—ოქტომბრის ყვავილები.

— აგერ ჩვენი ყოფილი სასახლე!—უთხრა პეტიამ მიტკას ღიმილით, რა ვერის ხიდზე გაიარეს და მიიხედა ცნობილი ფეოდუროიანი სვეტისაკენ...

— თუ არა ეგ ფეოდურო, შეიძლება ახლა ასე კარგად არ ვყოფილიყავით ჩვენ საყვარელ კომუნაში,—მიუგო მან და ხელი ჩაჰკიდა პეტიას. ფეხი აუწყეს წინ მიმავლებს...

პეტია კი თვალებს აცეცებს იქით-აქეთ: ის ეძებს ძია ლეოს.

— ძია ლეო!—შეყვირა სიხარულით, რა ის დაინახა ხალხში, დროშასთან.

— ოო, პატარა კომუნარო, გაუმარჯოს ოქტომბერს!—ღიმილით გადმოსძახა ლეომ.

— გაუმარჯოს!—მიუგო პეტიამ და ხელი მაღლა ასწია...

ვერის ხიდი კი, ათიათასეულ მოზეიმეთა თავის გულზე გატარებით, მძლავრად აკივლებდა ოქტომბრის ჰიმნს.

ხ. ე.

ნორჩო თაოგავ, არ დაივიწყო, რომ დახმარება უნდა აღმოუჩინო უპატრონო ბავშვებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონეთის მხარეში,
ტყის ფერდობის მახლობლად,
ძველის-ძველი წისქვილი
ყორანივით ჰკიდია...
იქვე ქოხში ნიკოლო
მეწისქვილე სახლობს, და
დღენი მისი ცხოვრების
მძიმე შრომით მიდიან.
სიყრმიდანვე ობოლი,
გაიზარდა წისქვილში,
არ უგრძვნია ალერსი,
დედის ნანით გამთბარი,
მისთვის ტკბილი სიმღერა
არის ზვირთთა სირბილში
როცა ღმუის მდინარე,
ვით მშიერი აფთარი...
და ნიკოლოს აწუხებს
ყოფნა უხეშ ხელშია:
მემამულე თავადის
მონა არის პატარა...
ო, რამდენი ცრემლები
მან დაღვარა ტყეშია,
ცივი ღამე რამდენჯერ
ბუჩქებში გაატარა!

დღიურ შრომით დაღალულს
ეკეცება მუხლები,
მაგრამ ვინ შეასვენებს,
ნუგეშით ვინ გაათბობს!...
მისი მძიმე ცხოვრების
მოწამეა მუხები,
მხოლოდ მუხა ალერსით
თავზე ფოთლებს დაათოვს...
ხშირად უცქერს ნიკოლო
ჩქარ ზვირთების გორიალს,
და შენატრის ზვირთების
თავისუფალ ქროლვასა...
ფიქრობს: ჩვენი ცხოვრება
მათთვის მოგონილია,
ვინც ეძლევა განცხრომას
და უდარდელ ტკბობასა.
მონავარდე ზვირთებო,
ნეტავ რა იქნებოდა,
რომ ბედს თავისუფალი
გავეჩინე თქვენსავით...
მაშინ ჩემი ცხოვრება
ტკბილად მოირთებოდა,
გათბებოდა ეს გული
ალმურიან მზესავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუბლზე დაუწერია?...
მისი მეგობრებია
შეფოთლილი ხეები,
და ბუჩქები, თავი რომ
ცისკენ აუწევიათ.

ქალაქში

გადიოდა თვეები...
ქალაქს ხმები ედება:
მეთაური გამოჩნდა
მებრძოლ ახალგაზრდობის,
აძლიერებს გაფიცვებს,
და ქარხნები ჩერდება;
ჯაშუშები სიბრაზით
ადარავის ინდობენ.
პოლიცია ფეხზეა,
გაძლიერდა რაზმები,
ციხეები სავსეა
გაფიცულთა გუნდებით...
ქუჩა-ქუჩა დაძრწიან
დაფლეთილი ბავშები:
მარჩენალი მამები
სხედან მძიმე ხუნდებით...
პოლიციის უფროსი,
ბრაზით ცოფმორეული,
მეთაურის აღმოჩენს
ათას ოქროს პირდება...
ვიღაც მეწისქვილეი
უცნობი, შორეული;
მისი გამბედაობით
მთელი მხარე კვირდება!
გაიხიზნენ ტყეებში,
ვინც გადურჩა დაჭერას,
ო, ეს დღეთა ტრიალი
რა მძიმე და ნელია...
იჩქარიან დაფლითონ
მტრები ნაჭერ-ნაჭერად,
ტყეში მოუთმენლობით
დანიშნულ დღეს ელიან.
პოლიციის უფროსმა
მოიწვია თათბირი,
მეთაურთა საძებრად
რაზმებს რაზმზე ჭგზავნიან...
ნიკოლო კი უშიშრად,
ბრძოლის ცეცხლით გამთბარი,
დაჰქრის, უკვე მზად არის
დაჰკრას ბრძოლის ზარია.
შეკრებილა მის ირგვლივ
მუშა-ახალგაზრდობა,
„აკის“ დროშა თავზარს სცემს
პოლონეთის მმართველებს...
ძლიერია პანები,
არ იციან დანდობა,
მაგრამ ახალგაზრდებში
ბრძოლას რა შეანელებს?

უკანასკნელი ღამე

მთვარიანი ღამეა,
შრიალებენ ხეები...
სადაც მოქუხს მდინარე
და პატარა ველია,
სადაც უხვად იღვრება
მთვარის ნაზი სხივები,
შეკრებილან გლეხები
და ვიღაცას ელიან.
უცებ ერთმა შორიდან
დაიყვირა: მოდიან!
ბილიკებზე ნიკოლო
მოდის მძიმე ფიქრებით...
— ხვალ ან გულზე გვეცემა
დამარცხების ლოდია,
ან-და გამარჯვებულნი
მჩაგვრელებზე ვიქნებით.
მიეგებენ. იკითხა:
— ყველანი აქ არიან?
— ყველანი ვართ!
სიბნელე შეარყია ძახილმა...
კუნძზე შედგა ნიკოლო,
ხალხს მოავლო თვალია,
სთქვა:-ხვალ უნდა იელვოს
მტრებზე ბასრმა მახვილმა.
— ყველაფერი მზად არის
და ხვალ უნდა გადაწყდეს,
თუ ვის დედამ იგლოვოს
დღეუპული შვილია...
ან მზეს შეეხვდეთ ღიმილით,
ან ყველანი ამოვწყდეთ...
შეებრძოლოთ მსუნაგებს,
ცხოვრებას რომ გვიშლიან.
— ხვალ, როცა მზე ამოვა
მოელვარეთვალება,
ქალაქიდან ისვრიან
პირველ ტყვიას სანიშნოს...
დე, აზვირთდეს ქვეყანა,
დასწვას ცეცხლის ალებმა;
დროა, ტანჯვის მორევი
მშრომელებმა დაიშროს.
— ხომ მზადა ხართ, მკლავები
ხომ არ მოგდუნებიათ?
გულებიდან ისროლეთ
ანთებული ალები...
ასე ფიქრობს ნიკოლო,
ფიქრში გადის დღეები.
ნუთუ ტანჯვა მისთვის ბედს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა ფრთხილად გასწიეთ,
ჯაშუშები გვდევნიან,
ხვალ შევხვდებით ქალაქში
რისხვაყარილ თვალებით.
— ჩვენ მზადა ვართ! ერთის ხმით
ღამემ დაიგრიალა,
შემდეგ ნელი ბაასით
გაფანტენ ბილიკზე...
ყოველივე მიწყნარდა,
ისმის ფოთოლთ შრიალი,
და ნიავი ეხვევა
ბუჩქებსა და ვეირილებს.

დაჭერა

შუა გზაზე ნიკოლო
ჩამოშორდა მეგობრებს,
ქალაქისკენ გასწია
ღრმა ფიქრებით მოცულმა...
და ფიქრებით კიდევაც
მიაღწია ნიკოლომ
ქუჩებს, განათებულებს
მოელვარე ფარნებით...
უცებ რაღაც მოესმა,
გულში შიშმა გაუვლო;
მობრუნდა და შენიშნა
სიბნელეში ლანდები.
განძრევაც ვერ მოასწრო,
დაუძახეს ბრძანებით:
— არ გაინძრე, თუკი გსურს
ტყვეით არ ჩაიკოლო!
წუთის შემდეგ, შეკრული
პოლიციის რაზმებით,
ციხისაკენ მიჰყავდათ
ახალგაზრდა ნიკოლო.

წამება

უცებ ციხის კოშკიდან
გადმოიფრქვა გინება,
შემდეგ კვნესა მოისმა,
კვნესა გულის მომკვლელი..
ვიღაც მოსთქვამს, ვინ არის!
ხმა თანდათან ილევა.
ისმის ოხვრა, სხეულში
ჟრუანტელის მომვგვრელი.
ოჰ, ის კვნესა გადმოსკდა
მეწისქვილეს გულიდან,
სისხლშეჭ[illegible]ილია
მისი [illegible] მეურდები...
თავ[illegible] სილ[illegible]ონი
და [illegible] უკცევლვითა
[illegible] კარებ[illegible] ღვედებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვნესის, ოხვრის ნიკოლო,
ვეღარ უძლებს წამებას: ერეკებული
ფერმიხდილი მიწაზე
მოკეკილი აგდია...
დეე, მოჰკლან; სიკვდილი
სჯობია ნელ წამებას,
ის მოკვდება, სხვები ხომ
იხილავენ განთიადს!
თავს იკავებს: სიმწარით
არაფერი წამოცდეს.
ჩამოვარდა სიჩუმე.
უცებ მკვეთრი გუგუნი
კოშკს მოასკდა ქუჩიდან,
შეარყია კარები...
თითქო სადღაც გაირღვა
დედამიწის უკუნი.
აგრიალდა ქუჩებში
ხმები, როგორც ზარები.
მიხვდა მაშინ ნიკოლო,
გაუბრწყინდა თვალები.
ღონე უკანასკნელად
მოიკრიბა, წამოდგა...
— გესმით, გესმით, მოედო
ქუჩებს ცეცხლის ალები,
მშრომელთ რისხვამ ნაბირი
გაარღვია, გადმოსკდა.
ძმწოდეთ, სვანნო, ყორანნო,
ჩვენი სისხლითა მთვრალებო!
მოახლოვდა მონობის
დასამხობი წამები...
ხედავთ, ქუჩა გრიალებს
ცეცხლიანი თვალებით,
ხედავთ, როგორ იმსხვრევა
დღენი ჩვენი წვალების!
— დაიჩუქეთ, მოჰკალით!
ყვირის ზედამხედველი.
— იარაღი აისხით,
გადაჰკეტეთ კარები...
შემობრუნდა. უეცრად
მოიქნია მახვილი,
და განგმირულ ნიკოლოს
დაუბნელდა თვალები.

. . . . . .

კიდევ დიდხანს ისმოდა
ქუჩებიდან ქუხილი,
და ირწყვოდა ქალაქი
თბილი სისხლის მორევათ,
ხრამში იჩეხებოდა
ძველი სევდა-წუხილი,
და დგებოდა ელვარე
სიხარულის გორები.

კ. ლორთქიფანიძე

ეხლა ფრთხილად გასწიეთ,
ჯაშუშები გვდევნიან,
ხვალ შეეხვდებით ქალაქში
რისხვაყარილ თვალებით.
— ჩვენ მზადა ვართ! ერთის ხმით
ღამემ დაიგრიალა,
შემდეგ ნელი ბაასით
გაიფანტენ ბილიკზე...
ყოველივე მიწყნარდა,
ისმის ფოთოლთ შრიალი,
და ნიავი ეხვევა
ბუჩქებსა და გვირილებს.

დაჭერა

შუა გზაზე ნიკოლო
ჩამაშორდა მეგობრებს,
ქალაქისკენ გასწია
ღრმა ფიქრებით მოცულმა...
და ფიქრებით კიდევაც
მიადწია ნიკოლომ
ქუჩებს, განათებულებს
მოელვარე ფარნებით...
უცებ რაღაც მოესმა,
გულში შიშმა გაუვლო;
მობრუნდა და შენიშნა
სიბნელეში ლანდები.
განძრევაც ვერ მოასწრო,
დაუძახეს ბრძანებით:
— არ გაინძრე, თუკი გსურს
ტყვეით არ ჩაიქოლო!
წუთის შემდეგ, შეკრული
პოლიციის რაზმებით,
ციხისაკენ მიჰყავდათ
ახალგაზრდა ნიკოლო.

წამება

უცებ ციხის კოშკიდან
გადმოიფრქვა გინება,
შემდეგ კენესა მოისმა,
კვნესა გულის მომკელელი..
ვიღაც მოსთქვამს, ვინ არის!
ხმა თანდათან ილევა.
ისმის ოხვრა, სხეულში
ერუანტელის მომგვრელი.
ოჰ, ის კვნესა გადმოსკდა
მეწისქვილეს გულიდან,
სისხლში ამოსვრილია
მისი თეთრი გვერდები...
თავზე ადგან ჯალათნი
და გინებით-კრულვითა
აწამებენ; სხეული
კვნესის, ოხრავს ნიკოლო,
ველარ უძლებს წამებასს
ფერმიხდილი მიწაზე
მოკეცილი აგდია...
დეე, მოჰკლან; სიკვდილი
სჯობია ნელ წამებას,
ის მოკვდება, სხვები ხომ
იხილავენ განთიადს!
თავს იკავებს: სიწყვარით
არაფერი წამოცდეს.
ჩამოვარდა სიჩუმე.
უცებ მკვეთრი გუგუნი
კოშკს მოასკდა ქუჩიდან,
შეარყია კარები...
თითქო სადღაც გაირღვა
დედამიწის უკუნი.
აგრიალდა ქუჩებში
ხმები, როგორც ზარები.
მიხვდა მაშინ ნიკოლო,
გაუბრწყინდა თვალები.
ღონე უკანასკნელად
მოიკრიბა, წამოდგა...
— გესმით, გესმით, მოედო
ქუჩებს ცეცხლის ალები,
მშრომელთ რისხვამ ნაბირი
გაარღვია, გადმოსკდა.
ძრწოდეთ, სვავნო, ყორანნო,
ჩვენი სისხლით მთვრალებო!
მოახლოვდა მონობის
დასამხობი წამები...
ხედავთ, ქუჩა გრიალებს
ცეცხლიანი თვალებით,
ხედავთ, როგორ იმსხვრევა
დღენი ჩვენი წვალების!
— დაჩუმეთ, მოჭალითო!
ყვირის ზედამხედველი.
— იარაღი აისხით,
გადაჭეტეთ კარები...
შემობრუნდა. უეცრად
მოიქნია მახვილი,
და განგმირულ ნიკოლოს
დაუბნელდა თვალები.

. . . . . .

კიდევ დიდხანს ისმოდა
ქუჩებიდან ქუხილი,
და ირწყოდა ქალაქი
თბილი სისხლის მორევთ,
ხრამში იჩეხებოდა
ძველი სევდა-წუხილი,
და დგებოდა ელვარე
სიხარულის გორები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ს ი ლ ვ ე რ ი

(განგრძობა)

უცბად სილვერმა თავი ასწია, მოიშორა ქაღლის წამოსასხამის ნაოჭები, ზედ რომ შემოჰფენოდა, და ყური დაუგდო.

ერთი წუთია, რაც იქიდან, გორაკების მეორე მხრიდან, რომელთა შორის გზა ნიცასკენ მიემართება, ოდნავი ხმაური ისმის.

ეს ხმაური სამარგო ურმების მოძრაობას წაგავდა. ვიორნას ბუტბუტი ჰფარავდა ისედაც გაურკვეველ ხმაურს. ნელ-ნელა გასარჩევი შეიქმნა. თითქოს მთელი არმია მოდიოდა. ხმაური იზრდებოდა და ახლოვდებოდა, ახლა შეიძლებოდა ბრბოს გრგვინვის გარჩევაც, რომელიც ქუხილის გრიალს მოაგონებდა ადამიანს.

სილვერი ყურს უგდებდა. უცბად, გზის მოსახვევში, შავი მასა გამოჩნდა, მოისმა „**მარსელიეზა**", რომელსაც რაღაც მძვინვარე შურისძიებით მღეროდენ.

— ეს ისინია! — წამოიძახა აღტაცებულმა სილვერმა.

ის გაიქცა ფერდობზე და მიეტაც თან გაიტაცა.

გზის მარცხნივ კლდე იყო ამართული, მუხნარით შემოსილი; აცოცდა ზედ და ქაღლიც აიყვანა, რომ ახმაურებული ბრბოს ნიაღვარს არ გაეტანა.

ბრბო ახლოვდებოდა ულეველი მოძრაობით, გზა ცოცხალი ტალღების გამოულეველ ნიაღვრად გადაიქცა. მის მოსახვევში ახალ-ახალი შავი მასები ჩნდებოდა, მათი ხმა კი ერთიანდებოდა და ძლიერდებოდა. როცა უკანასკნელი ათასეულები გამოჩნდენ, დამაყრუებელი ყვირილი გაისმა. „**მარსელიეზა**", რომელიც, თითქოს სპილენძის მილებიდან ინთხეოდა, ხეობას ავსებდა და ცისკენ მიემართებოდა. მიძინებულმა სოფელმა გაიღვიძა, მთელი თავისი არსებით შეინძრა და სიმღერის გაშმაგებულ ხმაურს მოსძახოდა.

ახლა ერთი ბრბო კი აღარ მღეროდა: ყოველი მხრიდან, შორეული კლდეებიდან, გადახნული მინდვრებიდან, ველებიდან, წვრილი ჯაგნარიდან — ყოველი მხრიდან გრგვინავდენ ხმები; ვეება ვაკე, უშველებელი ჩანჩქერი, მთვარის ტრედისფერი სინათლით დაფრქვეული, თითქოს უჩინარი უამრავი ბრბოთი ავსებულიყო და აჯანყებულებს ესალმებოდა.

ვიორნას მუხლებში, მის ვაკე ზედაპირზე, რომელიც დამდნარი კალის საიდუმლო ელვარებას ჩამოჰგავდა, თითქოს არ დარჩენილიყო ადგილი, სადაც მიმალული ხალხი არ იმეორებდა სიმღერას უფრო და უფრო მრისხანედ.

სიმღერა, რომელიც ჰაერს და მიწას აზანზარებდა, შურისძიებისა და თავისუფლებისაკენ მოუწოდებდა.

ეს პატარა არმია რომ აღმართზე ადიოდა, ხალხის გოდება ტალღასავით ქვევით მიგორავდა და გზაზე მდებარე ლოდებს არყევდა.

აღელვებისაგან ფერმიხდილი სილვერი უყურებდა, ყურს უგდებდა.

მოღრიალე ბრბოს წინმავალი აჯანყებულები იტაცებდენ და ჩქარი ნაბიჯით უახლოვდებოდენ ხიდს.

— მე მეგონა, ჩურჩულით წარმოსთქვა მიეტამ, — რომ თქვენ **პლასსანზე** არ გაივლიდით.

— ლაშქრობის გეგმა შეიცვალა, — მიუგო სილვერმა, — ჩვენ მთავარ ადგილს უნდა შევკრებილიყა-

ვით, სადაც **ტულონის** გზით უნდა წავსულიყავით, **პლასსანის** და **ორშერის** მარცხნივ.

ამ დროს რაზმის წინა წვერი გასცდა ახალგაზრდებს.

ამ პატარა არმიაში წესრიგი იყო გამეფებული. თვითეული ქალაქის თუ სოფლის მოსახლეობა ცალკე თასეულს შეადგენდა და ერთმანეთს რამდენიმე ნაბიჯზე მისდევდა თავისი უფროსის მეთაურობით.

ის მხნეობა, რომელსაც ფერდობზე ასვლაში იჩენდა ბრბო, მათ აერთიანებდა, აღონიერებდა და უძლეველობის ბეჭედს ასვამდა.

ძნელი იყო წვრილმანის გარჩევა, მაგრამ 5—6 ნაბიჯზე იმ ჯაგიდან, რომელსაც ამოეფარენ სილვერი და მიეტა, კლდე დაბლდებოდა, გზა აქ **ეიორნას** გასწვრივ იდო და მთვარის შუქი გზას კარგად ანათებდა. როცა აჯანყებულთა წინა რიგები ამ განათებულ ზოლში შევიდენ, ყველა წვრილმანის დანახვა შეიძლებოდა, მათი საცმელისა და სახის თამამისაც.

სილვერისა და მიეტას წინ მკაცრი სახეები იხატებოდა, რომელნიც თითქოს სიბნელიდან გამოდიოდენ.

მიეტა დაშტერებით უყურებდა განათებულ ოთხკუთხედს, რომელზედაც მიდიოდა ენტუზიაზმით შეცვლილი სახით ხალხი და რომელთა გამშრალი პირიდან ამოდიოდა **„მარსელიეზის“** მრისხანე ხმები.

სილვერმა მიეტას ყურთან მიიტანა ტუჩები და უსახელებდა გამველელ რაზმებს.

ხალხი ახლოვდებოდა ულეველი მოძრაობით, გზა ცოცხალი ტალღების გამოულეველ ნიღვარად გადაიქცა...

ეტყობოდა, ჯაბუკი ამაყობდა თვისი მოძმეებით. შემდეგ, რა შეამჩნია აწეწილ წვერებიანი, ფეხშიშველა წვარსახიანი ხალხის ბრბო და მუშები, ძან სოქა:

— **პალიუდას** მცხოვრებნი; პირველნი ეგენი აჯანყდენ. ხალათებში რომ არიან, ეგენი პრომკის ხის ქერქის მცლელი მუშებია: აი, ისინი კი, ხავერდის ჟურთუკებში რომ არიან, მონადირენი და მეწანაზშირეებია, **სელლის** გასავლებში რომ ცხოვრობენ... მონადირენი, მიეტა, ბამაშენს იცნობდენ. ეგენი საუკეთესოდ არიან შეიარაღებულნი და იარაღის ხმარებაც კარგად იციან. ოჰ!.. ყველა რომ ასე იყოს შეიარაღებული!... თოფები აკლიათ. უყურე, მუშებს მხოლოდ ჯოხები აქვთ!

მიეტა სულგანაბული უყურებდა და ყურს უგდებდა. სილვერმა რომ მისი მამა ახსენა, ძლიერ გაწითლდა. ანთებული ლოყებით უყურებდა მონადირეებს მრისხანედ და იმავე დროს უცნაური თანაგრძნობით. ამ წუთიდან ის თითქოს ციების თრთოლვამ მოიცვა, რაც აჯანყებულთა სიმღერამ გამოიწვია.

რაზმებმა ხელახლა დასძახეს **„მარსელიეზა“** და ზეასვლას განაგრძობდენ. **პალიუდას** მოსახლეობას მუშათა ახალი ბრბო მოჰყვა.

— ии, **Сынъ-Мартинъ-де-Ивоъ** мцховрэбнэ,—гаанагаржмэбдэ сылэвэрэ.

— Эгэнэ тэтэмжмэ **Палэуудэлэбэтэ** эрэтэд аҳъанэгэдэнэ... Мэгэмэ амэт цэтэ иаралэ аҳъвэ, рэмдэнэмэ санадэрэмэ тэмэфэ... Хьэдэвэ, мэитэ, ии, ам хьалхьэ, рэмдэлэцэ мэрцьэнэ мэгъэлэвэ ныдэлэ нэбэрэбэ аҳъвэ гэцэтэбэтэ? Эсынэ уфэрэсыбэрэ.

Сылэвэрэ дэсыхьэлэбэ эвэ ашъхьэрэбдэ; бэрэбэ фэрэдэхьэ адэмэдэ дэ мэ ахьынэ ушъхьэрэбдэ. Ар ҳъэрэ кидэвэ **Сынъ-Мартинъ-де-Ивоъ** мцховрэбдэлэбэхьэ лэпэрэкэмбдэ, рэцэ ормэ ашъэсыгъэмэ ушъэ гаиарэ гъэхьэ анэтэбгъэнэ тэтэрэ нэфэлэ.

— Дэинэхьэ? —Хъэтэхьэ мэн.— **Алэбуэхьэлэ** дэ **Тиулэлэтэлэмэ** инсургэнтэбэмэ *) гаиарэ. Мэхьэдэлэ бурэ зэцэнэ. Эгэнэ мэхьэлэ дэдэ Эуэрэтэдэнэ аҳъанэгэбгъэнэ... Рэгэмэ мэрэбэнэ!

Ам дэрэмэ уфэрэ мэрэдэлэрэцэхьэвэнэ аэтэлэгъэнэ гаамэхьэнэ, ушъэтэлэдэ гаэвэрэтэнэлэрэ, эдэрэ дэнэарэнэнэ: тэтэмжмэ ыгъэлэсэ лэрэхьэ хьалэтэрэ эцэвэ дэ гъэтэлэ ҳъмэрэ хьэмэнэ ашъэмэрэтыгъэмэ. Эуэтэ ныгъэлэ хьэлэнэ кэцэ мэдэлэмэ. Эмэтэтэ ныгъэлэ тэмэгъэбэ хьэмэнэ, ан нэцэлэнэлэрэ гъэвэрэдэ дэ ныгъэлэ мэгъэлэ ҳъэрэ ашъэрэбэрэ **).



Мэгъэлэ мамэ кэтэрэлэлэ, хьэгъэ эвэ гъэгъэнэ, рэмэ хьэгъэ Эрэрэ ҳъэрэдэ дэ кэцэ мэгъэлэ ҳъэлэ ныгъэ.

— Мэ мэ эвэ зэцэнэмэ,—Сэтэгъэ сылэвэрэмэ.— Цэнэнэсынэ кэцэ эгъэтэгъэлэ эгъэрэсынэ, рэмэлэ Эуэхьэ мэ цэтэ рэмэ гъэгъэнэ. Мэн **Фэвэрэлэ** дэ мэ Эмэрэ мэ мэцэ ныгъэ мэцховрэбдэ ныгъэ мэцэ ныгъэ. Ар ҳъэрэ мэрэбэнэ, рэмэлэ ныгъэ мэцэ ныгъэ.

— Ооо!... ии, хьэгъэнэ! — Ныгъэмэдэхьэ мэн.

Фэвэрэлэ мцховрэбдэ эгъэтэгъэлэ ныгъэ мэцэ ныгъэ мэцэ ныгъэ. Мэ мэдэлэрэ, тэмэгъэнэ 10—20 кэцэ. Ныгъэ мэцэ ныгъэ мэцэ ныгъэ ныгъэ мэцэ ныгъэ. Ар ныгъэ мэцэ ныгъэ мэц

ში. აღშფოთებული ღრიალი, ბრძოლისა და სიკვდილისთვის მოწოდება, რისხვიანი აღგზნება და თავისუფლების მშვავე სურვილი—უფრო და უფრო თავზარსა სცემდა ქალის გულს. ბრბო კი ემატებოდა და ემატებოდა მშფოთვარე ტალღებივით. ეს სვლა, რომელიც სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა, ახალგაზრდებს დაუსრულებლად ეჩვენებოდათ.

აღელვებამ ნელ-ნელა მთლად მოიცვა მიეტა და თითქოს მამაკაცად გადაიქცია. იგი სიამოვნებით აიღებდა იარაღს ხელში და გაჰყვებოდა ამ აჯანყებულებს.

მიეტას წინ რომ თოფები და ცელები პრიალებდა, ის გრძნობდა, თითქოს კბილები ეზრდებოდა, საკბენად გამზადებული მგლის ლეკვივით. და როცა სილვერი, რომელსაც უფრო და უფრო ეხუთებოდა სული, გლეხთა ჯგუფებს უსახელებდა, მიეტას ეგონა, თითქოს მის თვითეულ სიტყვის წარმოთქმაზე რაზმი ფეხს აჩქარებდა. მალე თავბრუც დაეხვა: ხალხი მტვერივით ქარს მიჰქონდა. ყველაფერი დატრიალდა მის თვალებში.

— **პლასსანელებს** ვერა ვხედავ, —წაიჩურჩულა სილვერმა.

იგი ცდილობდა, ჯერ კიდევ ჩრდილში ჩაძირული რაზმის ბოლო დაენახა. მაგრამ, აი, მან წამოიძახა აღტაცებული ხმით:

— აი, ისინიც! მათ დროშა აქვთ, დროშა მიუნდვიათ!

მას უნდოდა კლდიდან გადაეხტარიყო და ამხანაგებს შეერთებოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს აჯანყებულები შესდგენ. მთელ რაზმში განკარგულება გაისმა. „**მარსელიეზა**“ შესწყდა და მხოლოდ რაღაც გამოურკვეველი ხმაური ისმოდა. რა დაუგდო ყური, სილვერი მიხვდა განკარგულებას, რომელიც ერთი ნაწილიდან მეორეში გადადიოდა: **პლასსანელებს** უბრძანეს რაზმის თავში დადგომა. როცა თვითეულმა ათასეულმა გზისაკენ მიიწია და დროშას გზა მისცეს, სილვერმა ხელი სტაცა მიეტას და კლდიდან ჩამოსვლას შეუდგენ.

— წავიდეთ —უთხრა მან, —იმათზე წინ გავალთ ხიდს იქით.

და ეცენ გადახნული მიწებს, რომ წისქვილთან მისულიყვნენ, სადაც ჯუბირი ეგულებოდათ. აქ მეწისქვილეებს ვიორნაზე ფიცარი გაედოთ და ახალგაზრდანი გავიდენ მდინარეში, შემდეგ ირიბად გადასტრეს **სენ-კლერის** ველები: ხელჩაკიდებულნი მირბოდენ უსიტყვოდ. რაზმი კი შავი მასებით მოდიოდა გზაზე, ლობის გასწვრივ.

ჯაგიან კუნელებში რამდენიმე გასასვლელი იყო. ერთ მათგანში გაიარეს სილვერმა და მიეტამ და გზაზე გამოვიდენ. მიუხედავად შორის მოვლისა, ისინი მაინც პლასსანელებთან ერთად მოვიდენ. სილვერმა რამდენიმე მათგანს ხელი ჩამოართვა; ისინ-ც თითქოს სილვერს გაეგოს აჯანყებულთა გეგმა და ახლა შეჰყოფდეს წინ. მიეტას, რომელსაც წამოსასხამი ჰფარავდა, ყველა ცნობისმოყვარეობით უყურებდა.

— ეე... ეს ხომ შანტაგრელია, —სთქვა ერთმა გარეთუბნელმა, —ეს მეიფრენის ჯადოქარის რეგიუფის დისწული.

— საიდან გამოქცეულხარ? —ჰკითხა მეორემ.

მიეტა აირია და ისე შეხედა მას, თითქოს შველას ეშუდარებოდა. მაგრამ ვიღრე ის რისმე წარმოთქმას მოასწრებდა, ბრბოდან უხეში ხმა გაისმა:

აიღო დროშა, მაგრამ მიიხუტა მკერდზე და წელში გასწორდა, მთფარიალე სისხლისფერ დროშაში გახვეული...

— მაგისი მამა კატორღელია, ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენს შორის ქურდის და კაცის მკვლელის ქალი იყოს.

მიეტას საშინელმა ფერმა გადაჰკრა.

— თქვენ სტყუით, —წაილაღლუღა მან, — მამაჩემი კაცის მკვლელია და ქურდი კი არა.

და როცა ფერწასული სილვერი ათრთოლდა და მუშტები მოიმარჯვა, მიეტამ უთხრა:

— შენ დაანებე თავი, ეს მხოლოდ მე მეხება... შემდეგ მიუბრუნდა ბრბოს და ხმამაღლა წარმოსთქვა:

— თქვენ სტყუით, სტყუით! მამაჩემს ერთი სუც *) არ წაურთმევია არავისთვის. თქვენ ეს კარგად იცით. მაშ რად უწოდებთ იმას, რაც ის თავის დღეში არა ყოფილა!

საქმე ცუდად გათავდებოდა, რომ ქალს ერთ-ერთი მონადირე არ მოშველებოდა, რომელიც გზის ნაპირას ქვების გროვაზე იჯდა.

— ბავშვი მართალია, — სთქვა მან, — შანტაგრელი ჩვენებურია. მე ვიცნობდი მას. მისი საქმე ვერ გაარჩიეს, როგორც რიგი იყო, მაგრამ მე ყოველთვის

აღმართზე ასვლისას მიეტას თითქის დადების მეშამული სხივები შემოჰხეოდა.

მრწამდა, რომ იგი ეკლესიარიტ ჩვენებას აძლევდა სასამართლოს. ჟანდარმს, რომელიც მან ნადირობის დროს მოჰკლა, მისთვის ყარაბინი მიეშვირა. როგორ ფიქრობთ, უნდა დაეცვა თავი, თუ არა? რასაკვირველია.

შანტაგრელი პატიოსანი იყო და არა ქურდი.

როგორც ეს ყოველთვის ხდება ამგვარ შემთხვევაში, მონადირის სიტყვები საკმარისი იყო, რომ მიეტას დამცველები გამოსჩენოდა.

*) ფულია, დაახლოვებით 1 კაპიკს უდრის.

ბევრმა მუშამ განაცხადა, რომ ისინი იცნობდენ მიეტას მამას.

— ჰო, ჰო, მართალია ეს, — ამბობდენ ხალხში, ქურდი არაა. ბლასსანში მრავალია სალახანა, რომლებიც მის მაგიერ უნდა ჩასხდენ ციხეში.

— შანტაგრელი ჩვენი ძმა იყო.

— დამშვიდდი, ბავშო, დამშვიდდი. ..

მიეტას თავისი მამის შესახებ ჯერ კარგი არა გაეგო რა არავისგან: ჩველებრივ, მას მატანტალას, კაცის მკვლელს ეძახდენ, ახლა კი მიეტა შეხვდა კეთილ ხალხს, რომელმაც ყველაფერი აპატია მის მამას და სინდისიან ადამიანად სთვლიდა. მწარედ აქვითინდა ქალი, ისევე აღელვდა, როგორც „მარსელიეზას“ გაგონებაზე; არ იცოდა, რითი გადაეხადა ამ უბედურთა შემწე ადამიანთათვის. ჯერ აზრად მოუვიდა, ხელი გაეწოდა, მაგრამ გულმა რალაც უკეთესი უკარნახა. მის გვერდით მედროშე იდგა. ხელი შეახო დროშის ტარს და მადლობის მაგიერ მუდარით შესთხოვა მედროშეს:

— მომეცი, მე წავიღებ.

უბრალო გულის მქონე მუშები მიხვდენ, რომ ეს იყო მადლობის გადახდა.

— ასე იყოს, — ყვიროდენ იგინი, — დეე, შანტაგრელმა ატაროს დროშა.

ერთ-ერთმა შეშისმჭრელმა შენიშნა, ქალი დაიღლებაო.

— ოო, მე ძლიერ ღონიერი ვარ, — ამაყად უპასუხა ქალმა, რომელმაც დაიმკლავა და ჰასაკმოსული ქალის მაგვარი დარგვლებული, მაგარი მკლავები გამოაჩინა. — მოიტეთ, — სთქვა მან, როცა დროშა გადასცეს.

მან გადმოაბრუნა თვისი წითელი წამოსასხამი და წამოისხა. ახლა ის იდგა მათ წინ მთლად გაბრწყვინვებული მთვარის თეთრი შუქით, ფართე წითელ ტანსაცმელში. აიღო დროშა, მაგრად მიიხუტა მკერდზე და წელში გასწორდა, მოფრიალე სისხლისფერ დროშაში გახვეული **ამ წუთს იგი თავისუფლების განხორციელებას მოაგონებდა ადამიანს.**

აჯანყებულთ ტაში დაუკრეს მას. სამხრეთის მკვიდრნი, ნაზი წარმოდგენის ხალხი, გაკვირვებულნი და აღტაცებულნი იყვნენ უცბად გამოჩენილი ტანწერწეტი მნათობი ქალით, რომელიც ნერვიულად იხუტებდა მკერდში მათ დროშას. ბრბოს შუაგულიდან გაისმა ხმები:

— ყოჩაღ, შანტაგრელო! გაუმარჯოს შანტაგრელს!

— დეე, დარჩეს ჩვენთან, ბედნიერებას მოგვიტანს ეგ ქალი.

კიდევ დიდხანს იქუხებდა ხალხის ხმა, რომ წინსელის ბრძანება არ მოსულიყო. რაზმი ეწყობოდა, მიეტყმ კი ხელი გაუწოდა თვის გვერდზე მდგომარე სილვერს და ყურში ჩასჩურჩულა:

— გაიგე? მე შენთან დავრჩები. გინდა?

პასუხის მაგიერ სილვერმა ხელი მაგრად მოუჭირა. იგი სთანხმდებოდა.

ღრმად შეღონებული, იგი წინ ვერ აღუდგა ამხანაგების გატაცებას.

მიეტა მას ეჩვენებოდა მშვენიერ, დიდებულ, წმინდა ქმნილებად.

ალმართზე ასვლისას მიეტას თითქოს დიდების მეწამული სხივები შემოჰხვეოდა. სილვერს ძლიერ უნდოდა წასულიყო და თავისი თოფი წამოეღო. აჯანყებულნი ნელა ადიოდენ. ბრძანება [illegible] არ ეხმაურნათ. რაზმი გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ თელების რიგებს შორის მიდიოდა, უზარმაზარ გველს დამსგავსებული.

დეკემბრის ყინვიანი ღამე სიჩუმემ მოიცვა, მხოლოდ ვიორნა ბუტბუტებდა.

როგორც კი მიახწიეს გარეთუბნის პირველ სახლებს, სილვერი წინ გაიქცა თოფისთვის, რომელიც მიტრას მოედანზე დამალა.

როცა დაბრუნდა, რაზმის კუდი რომის ალაყაფის კარს უახლოვდებოდა.

ე. ზოლა.

(განგრძობა იქნება).

ნანგრევებსა და დახოცილთ შორის.

(ლენინაკანში მიწისძვრის შემდეგ)

ამა წლის 11 ნოემბერს მივიღეთ ცნობა, რომ ქალაქ ლენინაკანში მოხდა მიწისძვრა, რომელმაც მოსახლეობა განადგურებამდე მიიყვანა. ტფილისის გაზეთების კორესპონდენტები მეორე დღესვე გავემგზავრეთ სომხეთში მომხდარის სანახავად და გასაცნობად.

მთელი ღამე ვიმგზავრეთ.

აი, უკვე გარიჟრაჟის ხუთი საათია...

სიბნელე ჯერ კიდევ მთლად არ გამქრალა და ლენინაკანის არსებობის შესახებ გვამცნობს ცეცხლი, რომელიც აქა-იქ იყო დანთებული: ცის ქვეშ ათენებდენ ღამეს მცხოვრებნი, რომელთაც სიცივის გამო კოცონები დაენთოთ.

მივედით. ხალიჩები, საბნები, ნახევი ძონძები და მათში ჩამალული მამაკაცები, დედაკაცები, ბავშები!.. იფარავდენ თავს სიცივისაგან და უფრო ღრმად მალავდენ შიგ სახეს, თითქოს არ უნდოდათ ენახათ ის უბედური სურათი, რომელიც მათ გარშემო იყო.

სიცივეა. ისმის ხრინწიანი და სულის შემხუთველი ხველა.

პირველი შთაბეჭდილება შენობებისაგან დეპეშებს არ შეეფერება: თითქოს ნანგრევები არც ისე ბევრია, მაგრამ გათენება რომ დიდეს, მთელი სურათი გადაგვეშალა თვალწინ: შენობები დგას გადმონგრეული კედლებით, გამოვარდნილი ფანჯრებით და კარებით, შეტრიალებული და გადმოზნექილი სახურავებით და ასეთი სურათია ყველგან, არ თავდება არსად. ძალიან იშვიათია, რომ სახლი მხოლოდ კედლების და ფანჯრების დასკდომით გადარჩენილიყოს.

50 პროცენტი მთლად განადგურებულია. ზოგიერთი ქუჩა ისეა ამოვსებული ქვებით, რომ გავლაც ძნელია.

ორმოცდაათიათას მცხოვრებიანი ქალაქი ცის ქვეშ ცხოვრობს. მცხოვრებნი იმდენად არიან დაშინებული მიწისძვრისაგან, რომ ეშინიათ გადარჩენილ ბინებში დაბრუნება.

გორაკი[1]) ჭიანჭველების საბუდარს წარმოადგენს.

კარები გაუკეთებიათ საბნებისა და ხალიჩებისაგან; შიგ და მის გარშემო მოძრაობაა. ბავშები დარბიან, ისინი თითქოს არ გრძნობენ უბედურების სიმძიმეს და იცინიან, ჰგონიათ, რომ აგარაკზე არიან.

კიდევ კარგი, რომ მზიანი დღეა. რა ტანჯვაში იქნებოდა ეს მრავალათასიანი ხალხი, რომ წვიმდეს ან თოვლი მოდიოდეს!

[1]) ადგილი ლენინაკანში.

ასეთ დროს უნდა გავრცელებულიყო ქუჩდობა ან ცარცვა, რადგან ყველაფერი ცის ქვეშ არის, მაგრამ არაფერი აპრის მსგავსი არ არის. ეს კი ადგილობრივი წითელარმიელების შემწეობითაა, რომლებმაც მაშინვე აიღეს თავის თავზე ქალაქის დაცვა-შენახვა.

მაღაზიები, დუქნები, საჩაიეები, სასადილოები—სულ დაკეტილია. ზოგიერთ ვაჭრებს გარეთ გამოაქვთ საქონელი და ჭყიდიან, არ ივიწყებენ თავის ხელობას.



თვით ლენინაკანში მსხვერპლი ცოტაა; დაჭრილნი განაწილებული არიან საავადმყოფოებში, ლაზარეთებში და კარვებში.

ექიმები იქვე არიან და დახმარებას უწევენ.

კარავი—ეს არის ცის ქვეშ დარჩენილი ლენინაკანელის საოცნებო საგანი.

ადგილობრივი ხელისუფლებაც დიდად დასაქმიანებულია ამ საკითხით. კარვებს სთხოვს ერევანს და მეზობელ რესპუბლიკებს. ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება თანდათანობით.

დღის პირველ საათზე მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად მივემგზავრები ლენინაკანის მაზრის სოფლებში.

აქ ნამდვილი საშინელებაა. სამოცდაათი პროცენტი სახლებისა მთლად განადგურებულია. დაღუპა ხალხი და შინაური ცხოველები. ირგვლივ გულის შემშუხებელი ნანგრევებია გლეხთა ქოხებისა.. ცოცხლად დარჩენილი სოფლელები დადიან გადარეულებივით, სახემოღუშულნი და ტანჯვის დაღდასმულნი.

სოფლელებს სიმხნე მოუმატა მხოლოდ ტფილისის მეხანძრეთა რაზმის მოსვლამ, ამხ. ბერიძის მეთაურობით, რომელნიც ეხმარებიან ნანგრევების თხრაში.

მკლავმოგლეჯილები, მუცელგაპყლეტილები, ქალაჩამტრეულები ათობით ჩნდებიან ნანგრევებ ქვეშ.

ალექსანდროვკა, ბაიანდური, კარაკლისი, ხაპლი, დაარლუ და კიდევ ბევრი სხვა სოფელი განადგურდა მიწისძვრით. სოფ. დაარლუში 800 მკვიდრებზე 105 ადამიანია მკვდარი და „ დაჭრილი 60.

— სირუშჯან, ს

იი—რუფუშ... სიიირუშ!.. გულამოსკვნილად გაჰკივის მოხუცი დედა, ნანგრევების ქვეშ თავისი მკვდარი ქალის დანახვაზე.

ძლიერ დაშავდა ნახირი. გაბერილი მუცლებით, ამდვრეული დიდრონი თვალებით და სისხლგადაცხებული ძვრებიან მათზე გადმოწოლილი ქვებისა, ბოძებისა და ფიცრებისაგან ძროხები, ხბოები ცხვრები... ძნელია ყურება გლეხების, რომელნიც უხმოდ და მწუხარედ შესცქერიან თავის მარჩენალებს.

გამამხნევებლად მოქმედობს გლეხებზე მთავრობის წარმომადგენლების საუბარი მათთან; მათ უხსნიან გლეხები თავიანთ უბედურებას, თავიანთ ზარალს.

რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც დავბრუნდით ლენინაკანში, უკვე სწანდა, რომ თავზარდაცემულობა ალარ იყო და მოსახლეობა ნელ-ნელა მშვიდდებოდა.

იხსნება მაღაზიები, მუშაობას იწყებენ ელექტრონის სადგურები, გამოდის სპეციალური გაზეთი.

შიში ალარ არის, სურსათ-სანოვაგე საკმარისია.

ტეხნიკური კომისია სინჯავს სახლებს და არკვევს, ვარგა თუ არა ის დროებით საცხოვრებლად. შეუწყვეტელი სხდომები აქვს განსაკუთრებულ სა-



მეულს, სპეციალურ კომისიებს, რომელნიც არკვევენ მოსახლეობის საჭიროებებს და უწევენ მათ დახმარებას..

ასეთივე დახმარება საჭიროა ყველასაგან, რომ რაც შეიძლება მალე გასწორდეს წელში ლენინაკანი. ნამდვილი ძმური მეგობრული ხელის გაწვდენით უნდა დაეუმტკიცოთ მათ, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი მათთვის ზრუნავს.

ყველა უნდა შეეცადოს დახმარების გაწევას, რაშიაც ბავშვმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, რადგან ლენინაკანის ბავშვობა უმწეო მდგომარეობაშია და ყველას რევოლუციონური მოვალეობაა მათი უბედურების შემსუბუქება.

გ. შმერლინგი.

პიონერი ოჯახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ხშირად მოგვდის ცნობები, რომ ბევრ ბავშვებს მშობლები არ აძლევენ ნებას კოლექტივში ჩაეწერონ. ჩვენ გვაქვს აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგიერთმა პიონერებმა მიატოვეს კოლექტივში მუშაობა, რადგან ეს მათ აუკრძალეს მშობლებმა.

თავისთავად ცხადია, რომ არიან ისეთი მშობლებიც, რომელთაც არ სურთ, რომ მათი ბავშვები აღიზარდონ ლენინელებად.

ასეთი მშობლები ჯერ კიდევ ბევრი არიან. ესენი არიან უმთავრესად ვაჭრები, მღვდლები, წურბელები, ყოფილი თავადები, ერთი სიტყვით, ისინი, ვინც მუშათა კლასის და დარიბი გლეხების მტერია. მაგრამ მუშების ან ღარიბი გლეხების ოჯახებშიც მშობლები ხშირად გამოსთქვამენ უკმაყოფილებას პიონერების მიმართ.

რისთვის სჩადიან ამას მშობლები ან რა აიძულებს მათ ამას? აი რა: არის ბევრი პიონერი, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევს ოჯახურ საქმეებს, მთელ დღეს, სკოლიდან დაბრუნების შემდეგ, ის ატარებს თამაშში, სირბილში, უსაქმოდ ხეტიალში, მისი მშობლები კი ერთ ჭაპანწყვეტაში არიან, შრომობენ, ოფლს ღვრიან. ამ შრომით არჩენენ ისინი თავის ბავშვებს. ხშირად ისეთ მოვლენასაც აქვს ადგილი, რომ პიონერები ატყვიდებენ თავიანთ მშობლებს. ვითომდა კოლექტივში სამუშაოდ მიდიან, ნამდვილად კი სადღაც ქუჩებში, მინდვრებში დაეხეტებიან და დროს ტყვიღა-უბრალოდ კარგავენ. რა თქმა უნდა, ჩვენი პიონერების ასეთი მოქმედება მშობლებს არ გამოეკარებათ, ისინი ამას ამჩნევენ, უსაყვედურებენ თავიანთ ბავშვებს, აძლევენ შენიშვნებს, რომ ასეთი საქციელი მშრომელ ადამიანობას არ შეეფერება. ბევრი პიონერი მშობლების ასეთ დარიგებას ყურადღებასაც არ აქცევს, ყოყოჩობას იწყებს, რასაც შედეგად მშობლებსა და პიონერებს შორის მდგომარეობის გამწვავება მოჰყვება. ბევრი პიონერი თავს ანებებს კოლექტივში მუშაობას, ბევრი კი კვლავ განაგრძობს ურჩობას და ამით ზიანს აყენებს თავის თავსაც და თავის მშობლებსაც. შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ პიონერი, რომელიც ოჯახურ საქმეს ყურადღებას არ აქცევს, ფიქრობდეს, რომ ამით ის დიდი კომუნისტის სახელს იხვეჭს. ასეთი ფიქრი სულელურია. ჩვენ ვხედავთ, რომ პიონერის ასეთი მოქმედებიდან არავითარი სიკეთე არ გამოდის, ჩვენ კი გვინდა, რომ პიონერის მოქმედებას ნაყოფიერება ახასიათებდეს, მისი მოქმედება შეეფერებოდეს ნამდვილ ლენინელს, რომელიც კომუნიზმისთვის იბრძვის. პიონერი მაგალითი უნდა იყოს არა მარტო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ კერძო ოჯახურ ცხოვრებაშიც. მან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ოჯახის გათვითცნობიერებას, წინსვლას და ამით მომაზადოს ნიადაგი მომავალი ცხოვრების შესათვისებლად. აი ამის შესახებ გვექნება ჩვენ საუბარი ამ წერილში.

როგორ დავიწყოთ მუშაობა?

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ დღევანდელ ოჯახებში ადგილი აქვს ბევრ ისეთ რამეს, რაც საესებით მიუღებელია ახალი ცხოვრებისათვის. ლანძღვა გინება, ცრუმორწმუნეობა, ბავშვების ცემა-ტყეპა, ლოთობა,-ყველა ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ოჯახებში. რა თქმა უნდა, ყველა ძველი ბურჟუაზიული წყობილების შედეგია, მისი ნაშთია. ჩვენ დავამსხვრიეთ ძველი წყობილება, ვაშენებთ ახალს, კომუნისტურს და საჭიროა ჩვენი ოჯახებიც გავათავისუფლოთ ყველა ძველი ჩვეულებებისგან და მაგივრად შევათვისებინოთ ახალი, კომუნისტური ზნე-ჩვეულებანი.

პიონერის მუშაობა ოჯახში მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. პიონერმა, რომელიც ემზადება, რომ მომავალში გახდეს რევოლუციონერი-კომუნისტი, უპირველესად ყოველისა თვითონ უნდა შეითვისოს ის, რაც საჭიროა თავდადებული მებრძოლისთვის და შეთვისებული კომუნისტური ზნეობა, ზედლობიანობა და ჩვეულებები თავისი ოჯახის წევრებს შორისაც უნდა გაავრცელოს. სისულელე იქნებოდა, რომ გვეთქვა, ყველა ამის გაკეთება უცაბედ შეიძლებოო, სასაცილო იქნება აგრეთვე, რომ ახალი ყოფა-ცხოვრების შემოღების მიზნით პიონერმა უბრძანოს თავის მშობლებს—მიატოვეთ გინება-ლოთობაო და სხვა. ამით არაფერი არ გამოვა და შედეგებსაც ცუდს მივიღებთ. საჭიროა თანდათანობითი გულდამჯდარი მუშაობა, საჭიროა თანდათანობით შევაგნებიოთ მშობლებს ახალი ყოფა-ცხოვრების უპირატესობა. ვიმეორებთ, პიონერი იმის განხორციელებას შესძლებს მაშინ, როდესაც თვითონ იქნება მაგალითი და განსახიერება ახალი ყოფა-ცხოვრებისა.

რა შეადგენს პიონერის მოვალეობას ოჯახში?

შრომითი დახმარება ოჯახში

ეს საკითხი ყველაზე უფრო მარტივია და პიონერმაც ყველაზე უწინ მუშაობა აქედან უნდა დაიწყოს. ავიღოთ ისეთი საკითხები, როგორიცაა საცხოვრებელი ბინის დასუფთავება, შინაური ცხოველების მოვლა, რეცხვა და სხვ. ყველა ეს პატარა საკითხებია, მაგრამ ოჯახში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველამ ვიცით, რომ თუ სისუფთავე არ იქნება, ოჯახში ცხოვრება ძალიან ძნელია, ვინაიდან უსუფთაობისგან ჩნდება სხვადასხვა სნეულება, მაშასადამე, სისუფთავის დაცვაზეა დამოკიდებული ჯანმრთელობა. ასეთივე მნიშვნელობისაა სხვა საკითხებიც.

პიონერებმა რომ ქუჩაში ტყვილა-უბრალოდ ხეტიალის მაგივრად ამ საკითხების მოწესრიგებაში დახმარება გაუწიონ თავიანთ მშობლებს, ეს, ერთი მხრით, განტვირთავს ოჯახში ქალებს მუშაობისგან, მეორეს მხრით ასწევს, მათი შრომის ნაყოფიერებას. მაგალითისთვის ავიღოთ მუშაქალი.

როგორი უნდა იყოს მისი შრომის ნაყოფიერების ზრდა, როდესაც, ბრუნდება რა შინ (ქარხნიდან), მთელი ოჯახური საქმეები თავზე ეხვევა, მოსვენება არ აქვს, ოჯახური საქმეები მას ჰლილს, არ აქვს საშუალება იმუშაოს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

ასეთია გლეხქალის მდგომარეობაც; მას ქარხანა არ აწუხებს, მაგრამ ოჯახური საქმეების გამო იმდენად დატვირთულია, რომ კარჩაკეტილ მდგომარეობაში იმყოფება. პიონერის მოვალეობას შეადგენს განტვირთოს მშობლები მისთვის ხელმისაწვდომი სამუშაოსგან, მისცეს მათ დასვენების საშუალება, რომ მშობლებმაც მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. პიონერის მოვალეობაა აგრეთვე დაეხმაროს მშობლებს სამეურნეო მუშაობაში, როგორიცაა მინდვრების, ყანების, ბაღჩების, ბოსტნების დამუშავება. ჩვენ ვიცით, თუ როგორი წესით ამუშავებენ ჩვენში ყანებს. პიონერმა უნდა აუხსნას თავის მშობლებს, თუ როგორ ცდილობს საბჭოთა ხელისუფლება მიწის დასამუშავებელი საშუალებების გაუმჯობესებას. ჩვენ ვიცით, რომ ხშირად მოსავალს ანადგურებს სხვადასხვა სტიქიური მოვლენები, როგორიცაა გვალვა და სხვა.

ჩვენმა გლეხობამ არ იცის, რით აიხსნება ის, რომ წვიმა არ მოდის და მიმართავს სხვადასხვა ცრუმორწმუნეობას. პიონერმა უნდა აუხსნას თავის მშობლებს ბუნების მოვლენების სხვადასხვა მხარეები. ჩვენი სასოფლო მეურნეობის მტრებია აგრეთვე სხვადასხვა მავნებლები, როგორიცაა თაგვები, მწერები და სხვ. მათ წინააღმდეგ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. პიონერს შეუძლია გააცნოს თავის მშობლებს სხვადასხვა საშუალებანი ამ მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

უმცროსებთან მუშაობა

ყველა პიონერს, ალბად, ჰყავს პატარა დები და ძმები. მათ შორის მუშაობასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვიცით, რომ პატარა ბავშვების მოვლაზე მშობლები უზომო ენერგიას ხარჯავენ. პატარა ბავში ისეთი არსებაა, რომელსაც ყოველ წუთს უნდა ადევნო თვალი. პატარა ბავშისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სისუფთავის დაცვას. ბავში ხშირად ტალახში ისვრება. საბრალო დედა უნდება ბავშის დაბანას, დასუფთავებას. პიონერის მოვალეობაა ადევნოს თვალყური ბავშის სისუფთავის დაცვას. პიონერმა არ უნდა უყუროს, თუ როდის მიეთითებს ამაზე დედა—ის თვითონვე უნდა მიხვდეს ამას. პიონერი უნდა ეცადოს აარიდოს ბავშებს მაგარი სასმელები, როგორიცაა ღვინო, არაყი და სხვა: ეს ანლუნგებს ბავშის საღ აზროვნებას და ფიზიკურადაც ასუსტებს.

ჩვენ ვიცით, რომ ბევრ ოჯახში ადგილი აქვს ბავშების ცემა-ტყეპას. ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს პიონერმა: გალახვისაგან ბავშა მახინჯდება, მასში ვითარდება შიშის გრძნობა. ბევრ მშობელს გალახვა ჩვეულებად აქვს გადაქცეული. ეს არის მახინჯი მოვლენა ჩვენს ოჯახებში. პიონერმა უნდა იბრძოლოს ასეთი მოვლენის წინააღმდეგ. პიონერ-კოლექტივმა პარტიჯარედზე, ქალთა სადელეგატო და მუშათა კრებებზე აგიტაციის გაწევით უნდა მოაგვაროს ეს საკითხიც. უნდა შეაგნებინონ თავიანთ მშობლებს, რომ ცემა-ტყეპას მხოლოდ უარყოფითი შედეგები მოაქვს. ასეთი გზით არ შეიძლება ბავშის აღზრდა.

ჩვენ სოფლებში ხშირია ასეთი შემთხვევები: როდესაც ბავში ხდება ავად, მშობლები, ნაცვლად იმისა, რომ მოიყვანონ ექიმი, სხვადასხვა ბალახ-ბულახისაგან გაკეთებულ წამლებს ასმევენ, მიდიან მარჩიელთან და სხვ. პიონერი უნდა ეცადოს გაატაროს ოჯახში ის მოსაზრება, რომ ყოველგვარი ავადმყოფობის და უბედურების დროს ექიმებს უნდა მიმართონ და არ ეკითხებოდენ სოფლის მატყუარებს.

ნოვინ.

(განგრძობა იქნება).

ბოლგარეთის ბავშვები.

ბოლგარეთი პატარა ქვეყანაა. ფაშისტურმა მთავრობამ, რომელიც განაგებს ბოლგარეთის მუშებს და გლეხებს, თავი ისახელა თავისი მხეცური მოქმედებებით: ასეული მუშები და გლეხები მოჰკლეს და დასაჯეს გაუსამართლებლად, ხოლო ათასეულები კი იტანჯებიან ციხეებში, ან ემალებიან დატუსაღებასა და სიკვდილს. არა მარტო კომუნისტები, არამედ თანამგრძნობნიც კი განადგურეს, ზოგნი კი არალეგალურად მუშაობენ და სასტიკ დევნას განიცდიან.

მეტად ცუდად ცხოვრობენ ბოლგარეთის მუშები და გლეხები, მაგრამ კიდევ უფრო ცუდად ცხოვრობენ მუშათა და გლეხთა ბავშვები.

ფარეთედ არის გავრცელებული ბოლგარეთში ბავშთა შრომა. ათასეული ბავშები 8, 10, 12 წლისა, მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც კაპიტალისტები მათი შრომის საშინელ ექსპლოატაციას ეწევიან და სულ უმნიშვნელოო სამუშაო ქირას აძლევენ, თუმც დღეში მათ უხდებათ 10-12-14 საათის მუშაობა. მხოლოდ ერთ საფეიქრო ფაბრიკაში, ქალაქ ვარნაში, 530 მუშიდან 200 ბავში მუშაობს 8-12 წლისა.

სოფლებში ბევრ ბავშს ქირაობენ მდიდარი გლეხები და მათ ამუშავებენ მეტად მძიმე პირობებში.

იმის მეოხებით, რომ ათასეული ბავშები არიან ჩაბმული მძიმე მუშაობაში, მათ არ შეუძლიათ ისწავლონ სკოლებში და რჩებიან უსწავლელნი. თუმცა ბოლგარეთში გამოცემულია კანონი ბავშების სავალდებულო სწავლების შესახებ, სინამდვილეში ის ცხოვრობაში არ ტარდება. 1920 წელს, ცნობების მიხედვით, 11000 ბავში დარჩა სკოლის გარეშე.

მაგრამ სკოლებშიაც სამწუხარო მდგომარეობაა. მთავრობაც, პოლიციაც და სკოლის ხელისუფლებაც სასტიკად ადევნებს თვალყურს მოსწავლეებს, რომ მათ შორის კვლავ არ გავრცელდეს „კომუნისტური სენი“. ამ მიზნით სკოლის მართველობა ანვიფარებს და ავრცელებს ბავშთა შორის ერთმანეთის ჯაშუშობას და ხელს უწყობს ბავშთა ყოველგვარი ფურცუაზიული ორგანიზაციების გავრცელებას.

ამ მიზნით დღეს სკოლებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სარწმუნოებას, საღვთო სჯულის შესწავლას, ლოცვების შესწავლას, პატრიოტულ ლექსებს და სხვ.

ყველა ის ბავშები, რომლებიც გაბედავენ სკოლებში გამეფებული ასეთი წესების წინააღმდეგ გალაშქრებას, სასტიკად და შეუბრალებლად ისჯებიან და ირიცხებიან სკოლებიდან, მათ სცემენ და სხვ.

ყოველ ფაშისტს, ოფიცერს ან უნტერ-ოფიცერს, აქვს უფლება შეივიდეს სკოლაში, კონტროლი გააკეთოს, თუ როგორ სწავლობენ მოწაფეები, გალაზოს ისინი, შეაგინოს და სხვ.

საგნების სწავლებაში უმთავრესი ადგილი აქვს დათმობილი ფაშისტების და მათი საგმირო საქმეების შექებას და „უღმერთო და განმანადგურებელ კომუნისტებზე“ გალაშქრებას.

ბოლგარეთის სკოლა დღეს მოგვაგონებს არა სკოლას, არამედ ყაზარმას ან სატუსაღოს.

მაგრამ კიდევ უფრო უარესია მდგომარეობა იმ ბოლგარელი ბავშვებისა, რომელთა მამებიც დატუსაღებული არიან ან მოკლული არიან რევოლუციონერი მუშაობისათვის.

ასეთი ბავშები ასობით და ათასობით არიან გამოყრილი ქუჩებში. ისინი მათხოვრობენ, ნახევრად შიერ-შეუყრელნი არიან და ხშირად ხდებიან შიმშილის და სხვადასხვა ავადმყოფობის მსხვერპლნი.

— დაგვეხმარეთ...

— მოგვეცით ერთი ლუკმა პური, — აი ხმები, რომლებიც გაისმის ბოლგარეთის სახლების კარებთან და ფანჯრებთან.

მაგრამ არავის არ შეუძლია დაეხმაროს მათ, არავის არ აქვს უფლება უპატრონოს მათ და აჭამოს, რადგანაც ადამიანს, რომელიც დაეხმარება რევოლუციონერის ბავშს, კომუნისტების თანაგრძნო-

ბას შესწამებენ და, შეიძლება, დაატუსაღონ ან მოულოდნელად ჩუმად მოჰკლან კიდეც.

ბავშვებს საზღვარგარეთ გასკლის უფლებას ფაშისტური მთავრობა არ აძლევს: დე „კომუნისტური ჯიში“ ბოლგარიაშივე დაიღუპოს. იმ თანხას, რომელსაც „რემედასი“ და სხვა ორგანიზაციები აგროვებენ ბოლგარეთის ბავშვების დასახმარებლად, მთავრობა არ-თმევს და ურიგებს ფაშისტების, გენერლების და ოფიცრების შვილებს.

ბავშვები კი შიმშილობენ და იღუპებიან.

აი, ათი წლის კოსტია იანკოვი. მისი მამა ეხეკურად მოჰკლეს იმიტომ, რომ მის სახლში იმალებოდა კომუნისტი. კოსტია იანკოვს ერთი **გზა აქვს—ქუჩისაკენ**. დედა დატუსაღებულია, მამის სახლი დასწვეს და არავის უფლება არ აქვს უპატრონოს ბავშს.

აი ძონძებში გახვეული 4 მოხეტიალე ბავში. ესენი არიან შვილები სოფლის მეურნე პეტკოვის, რომელსაც მისჯილი აქვს 10 წლის ციხე. მათი სახლიც აგრეთვე ცეცხლს მისცეს. არსად არ აქვსთ მათ თავშესაფარი და მხოლოდ მათხოვრობით ცხოვრობენ.

აი კიდევ ექვსი ბავში ექიმი ილიევასი. მათი მამა მოკლულ იქნა გაუსამართლებლად. მათ დარჩათ ავადყოფი, ჭლექიანი დედა. საჭიროა მისი კვება.

ეს ბავშები ერთად არ დადიან, ჯგუფად. ისინი უკვე ჩაებენ უპატრონობა ცხოვრებაში. ... დობენ...

ბევრია ასეთი...

დავიწყებულნი, დატანჯულნი, ჩაბინძურებულნი, ჩაფლეთილნი—ისინი განუწყვეტლივ ემუდარებიან გამვლელებს:

— დაგვეხმარეთ!

— ერთი ლუკმა პური მოგვეცით!..

ათეული ბავში ზის ბოლგარეთის სატუსაღოებში. ზოგიერთები თავის მშობლებთან ერთად არიან დატუსაღებულნი, ზოგნი—მოწოდებათა გავრცელებისათვის, ზოგნი—კომუნისტური აგიტაციისათვის. რამოდენიმე თვე უხდებათ ციხის კედლებში ჯდომა 12—14 წლის ბავშვს, ნახევრად მშიერებს.

ასე ცხოვრობენ ბოლგარეთის ბავშვები, ბავშვები მუშების და გლეხების.

ყველა ქვეყნის მუშები ეხმარებიან ბოლგარეთის ბავშვს, ისინი რემედასის საშუალებით აგროვებენ თანხას, აწარმოებენ აგიტაციას მათ დასახმარებლად, მათი არსებობის გასაუმჯობესებლად.

იტალიის მუშებმა მოუწყვეს წარსულ წელს ბოლგარეთის ბავშვს რამოდენიმე საბავშო სახლი. რამოდენიმე ათეული ბოლგარელ ბავშვისა ცხოვრობს ს. ს. რ. კავშირში, რემედასის მიერ მოწყობილ საბავშო სახლებში.

პიონერები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხაზზე.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხაზზე ცხოვრობს 25,000 რუსი მუშა. უკვე სამი წლის წინეთ ქალ. ხარბინის ბავშვებმა დაარსეს პიონერთა პირველი კოლექტივი. მალე კოლექტივები აღმოცენდა რკინის გზის სხვა სადგურებშიაც.

მეტად მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის პიონერებს. ერთ დროს ჩან-ძო-ლინის პოლიციელები პიონერებთან საბრძოლველად შეიარაღებულნი იყვნენ არა მარტო ხმლებით, არამედ... დანებითაც. შეხვედრილ პიონერებს ისინი დანებით აჭრიდნენ წითელი ყელსახვევების ბოლოებს.

სადგურ მანჩოუზე ერთხელ კიდეც დაატუსაღეს სამი ოქტომბრელი: ხუთი, შვიდი და რვა წლის. ბავშთა დემონსტრაციებს ხიშტებით ხვდებიან.

პიონერთა ორგანიზაციებს ყოველნაირად ავიწროებენ და ხელს უშლიან მის წინსვლას. ამავე დროს ათეული წყება ფაშისტური ახალგაზრდობის თავისუფლად არსებობს და დაუბრკოლებლივ განაგრძობს მუშაობას.

ახალგაზრდა ფაშისტები—„მუშტეკერები“ და „ჯვაროსნები“,—დადიან ბრბოებად, შეიარაღებულნი რეზინის ჯოხებით და კასტეტებით. დაინახავენ თუ არა პიონერებს, მაშინვე დაიყვირებენ: „სცემეთ მეფის მოღალატეებს.“

პოლიცია კი ფაშისტური ახალგაზრდობის ასეთ უხეშ მოქცევას სრულიად უყურადღებოდ სტოვებს. და თუ მას მიმართავენ, მაშინ ის ატუსაღებს არა ფაშისტს, არამედ შეურაცხყოფილ და გალახულ პიონერებს. უნდა ვიცოდეთ, რომ პოლიციელთა შორის მრავალი თეთრგვარდიელია, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან გაიქცენ ოქტომბრის შემდეგ. მაგრამ, მიუხედავად დევნისა, პიონერთა რიცხვი მაინც გამრავლდა ათასამდე. ისინი თვით ჩინელ ბავშვებთანაც ამყარებენ მეგობრობას და ეწევიან მათ შორის მუშაობას.

ჩვენი უახლოესი მეზობელი პლანეტა მარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდამე ათას სხვა ვარსკვლავებს შორის ცის თაღზე ჩვენ ერთ მოწითალო კამკამა ვარსკვლავს ვხედავთ.

ამ წითელი ფერისათვის დაარქვეს მას **მარსი**. მარსი ძველი რომაელების ომის ღმერთი იყო. ომი სისხლის ზღვაა. წითელი ვარსკვლავიც ომის ღმერთის ვარსკვლავი უნდა ყოფილიყო.

დიდი ხანია ომის ღმერთს მარსს აღარ უკმეევენ გუნდრუკს; დიდი ხანია დაემხო მისი ტაძრები. არც ერთი ქურუმი არ მოიწოდებს ახლა ომის წინ: „მარს, იყავ ჩვენი მფარველი!"

მაგრამ მარსის სახელი კი შერჩა მის წითელ ვარსკვლავს.

მარსი—პლანეტაა (ცოთმილი ვარსკვლავი). პლანეტას ეძახიან ჩვენი მზის სისტემის ცის სხეულებს, ე. ი. იმათ, რომლებიც მზის გარშემო ტრიალებენ. ეს პლანეტა 226,520,000 მილ. კილომეტ. არის დაშორებული მზისაგან, ე. ი. ორჯერ უფრო შორსაა, ვიდრე ჩვენი დედამიწა; ის გარს უვლის მზეს 686 დღის განმავლობაში. მარსის დღე ორჯერ უფრო გრძელია, ვიდრე ჩვენი დედამიწის დღე. სითბოსაც მზისაგან მარსი ორჯერ უფრო ნაკლებს ღებულობს. მარსს ირგვლივ ორი მთვარე უტრიალებს.

ყველაფერი ეს ვიცით მარსის შესახებ, მაგრამ ამდენივე ცნობა გვაქვს ჩვენი მზის სისტემის სხვა პლანეტების შესახებაც.

ამ მხრივ კი არ იპყრობს მარსი მიწის მცხოვრებთა ყურადღებას—მარსზე შემჩნეული იყო დედამიწის მსგავსი მოვლენები: მარსის პოლიუსებზე მოსჩანს თეთრი ადგილები. ზაფხულში ეს ადგილები კლებულობს და ზამთარში კი დიდდება. ძალაუნებურად იბადება აზრი, რომ მარსის პოლიუსებზე ყინულების მთებია დაგროვილი, რომლებიც ზაფხულში დნება და კლებულობს. სწორედ ზაფხულში მატულობს მარსზე მუქი ადგილების სივრცე და მეცნიერები ფიქრობენ, ეს მუქი ადგილები ადიდებული ზღვები არისო. თუ მარსზე არის წყალი—სჩანს, არის ჰაერიც; თუ არის ჰაერი,—არის სიცოცხლეც.

როგორია ეს სიცოცხლე?

ადამიანის ოცნება ჭქმნის მარსის ცხოველების, მცენარეების და ადამიანების სახეებს.

შემდეგ ასტრონომებმა მოახერხეს და აღმოაჩინეს ხაზები მარსზე. ეს ხაზები მთელი პოლიუსიდან პოლიუსამდე არის გაყვანილ-გამოყვანილი და გადაჯვარედინებული ერთმანეთზე, თითქოს ერთი მეორეს ერთვის.

იტალიელმა ასტრონომმა **სკიაპარელიმ** ეს ხაზებს არხები დაარქვა. მისი ფიქრით, ეს არხები ბუნებრივი ნასკდომებია მარსის ზედაპირზე, სადაც წყლები მდინარეებენ. სხვა ასტრონომები კი სხვაგვარად ხსნიდენ ამ მოვლენას. იმათი აზრით, არხები გაყვანილია მარსზე მცხოვრები გონიერი არსებების მიერ.

ამერიკელმა ასტრონომმა **ლოუელმა** ეს თეორია მეცნიერულადაც დაასაბუთა.

არხები მარსზე, მეცნიერ ლოუელის მიერ გადადებული.

ის ამბობს: ავიღოთ ჩვენი დედამიწა; დედამიწა ტრიალებს და მისი ტრიალის დროს ცენტრომსრბოლი ძალა ჰაერში ასულ აორთქლებულ წყლის ნაწილებს ჰაერის სულ უმწვერვალეს ფენამდის ერეკება. წყლის მცირე ნაწილებს, რომლებიც ვერ უმაგრდებიან ამ ძალას, აგდებს დედამიწის ატმოსფერის გარეშე უჰაერო სივრცეში და ისინი აღარასოდეს აღარ ბრუნდებიან დედამიწაზე. ამნაირად წყლის ნაწილები, თუმცა ძალიან ცოტა-ცოტა, მაინც მიფრინავენ დედამიწიდან დღითიდღე, ყოველ საათში და წუთში მილიარდი წლების განმავლობაში და დადგება ისეთი დრო, რომ წყალი სულ გამოილევა და ყოველგვარი სიცოცხლე გაქრება დედამიწაზე. მაგრამ სანამ ეს დრო დადგებოდეს, დადგება ისეთი ხანა, რომ წყალი ძალიან ცოტა იქნება.

რას იზამენ მაშინ ადამიანები? რასაკვირველია, გაუფრთხილდებიან ძვირფასი წყლის ყოველ წვეთს. სწორედ ასე იქცევიან ახლა მარსის მცხოვრებნიო.

დედამიწა, მთვარე, მარსი—სამი ასაკია ყოველი პლანეტის ცხოვრებაში. დედამიწაზე სიცოცხლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა თეატრალია

როგორ გახდა ვანო პიონერი.

ზაფხულის დღე იყო. ძალზე ცხელოდა. ერთ პატარა ეზოში გაბადრული თუთის ხე იყო და მის ჩრდილში მოეყარათ თავი მეზობელ ქალებს და მამაკაცებს. ისინი თავის მდგომარეობაზე ბაასობდენ. შუადღე იქნებოდა, პატარა ვანო რომ თავის ეზოში გადმოხტა და სიხარულით მიესალმა შეკრებილ მეზობლებს.

— დედი, იცი, რა ვნახე? ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ისეთი კარგი და ლამაზად მორთული ბავშვები. ქალაქის მოედანზე დროშებით ხელში და სიმღერით მრავალი ბავშვი დავინახე. ისინი ლამაზად იყვნენ დამწკრივებული. წინ ორი მიუძღოდა დოლით და საყვირით, მათ უკან — დროშა, შემდეგ კი დანარჩენები. მე აღფრთოვანებული დავედევნე. შეამჩნია ჩემი გაოცება პიონერების კოლექტივის წინამძღოლმა, მოვიდა ჩემთან და მითხრა: „შენ წადი ახლა და დედ-მამას ნება სთხოვე, რომ ჩაეწერო ჩვენს ორგანიზაციაში. თუ ნებას დაგრთავენ, მოდი ხვალ ჩვენთან და ჩაგწერთ ჩვენს კრებულში. მერე შენც სხვებთან ერთად ივლი ჩვენთან, ითამაშებ, ივარჯიშებ და ცოდნასაც შეიძენ“. — დედი, გენაცვალე, გამიშვი. მე ახლა სულ მოვრბოდი, რომ ნება ავიღო, გავბრუნდე უკან და ისევ მივუსწრო მას.

— რა შენი საქმეა, შვილო, იმაში გარევა?

— შენ აქ მამას მოეხმარე, საქონელი მწყესე და ეს უფრო გამოსადეგი იქნება, — ეუბნებოდენ ვანოს შეუგნებელი მეზობლები.

ვანომ ამის გაგონებაზე კინაღამ მორთო ტირილი.

— წადი, შვილო, წადი, — მიუგო დედამ.

— შენი პირიმე, დედილო, — წამოიძახა ვანომ, კისერზე მოეხვია დედას და მადლობის ნიშნად კოცნა დაუწყო, შემდეგ სწრაფად მოკურცხლა საქმის გასაკეთებლად.

გავიდა დრო და ვანო შეიქნა ერთგული მომუშავე. ის აღტაცებით ისმენდა ყველაფერს კოლექტიურ მაკადინეობაზე. მან იცოდა: ვინ არის პიონერი, რისთვის იზრდება ის, რა ამოცანა აქვს. შეისწავლა წარსული ამბები: თებერვლის რევოლუცია, ოქტომბრის რევოლუცია, რას შვრება ბურჟუაზია მუშახალხის წინააღმდეგ და სხვა მრავალი.

გავიდა ხანი. თუთის ხის ჩრდილში ფეხზე მდგარი ვანო ქაღაგობდა: აცნობდა მეზობლებს ყველაფერს, რაც შეასწავლა მას კოლექტიურმა, ძმურმა მუშაობამ.

— ეცადეთ, ბიძებო და ბიცოლებო, რომ თქვენი შვილები პიონერთა რიგებში ჩასწეროთ. ისინი შეიგნებენ და შეისწავლიან ყველაფერს, — ამბობდა ის.

მეზობლები თუ წინეთ უარს ელაპარაკებოდენ, ახლა აღტაცებით უსმენდენ.

— კოჩაღ, ვანო, კოჩაღ. დაურჩი შენს მშობელს.

ამგვარად ახლა ყოველდღე სახსენებელი გადაიქცა პატარა ვანო იმ სოფელში.

პიონერი **გ. ბასილაია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურიანი.

მოხეტიალე გურჭუა.

მოთამაშენი წრეს აკეთებენ. ერთი პიონერი, რომელიც ბურჟუას წარმოადგენს, წრეში ჩადგება. ზურგზე მას თავისი კაპიტალი აქვს მოკიდებული (ტომარა ან სხვა რამ). დანარჩენი პიონერები სხვადასხვა სახელმწიფოებს წარმოადგენენ (ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას, შვეიცარიას და სხვა).

ბურჟუა რომელიმე სახელმწიფოს მიმართავს და ეტყვის: მე საბჭოთა კავშირის მუშებმა გამომაგდეს, მომეცით ბინა თქვენთან.

სახელმწიფო (რომელსაც ბურჟუამ მიმართა) ბევრი ფული გაქვს?

ბურჟუა: ფული ბევრი მაქვს, მაგრამ მხოლოდ ჩემთვის.

სახელმწიფო: მე რამდენს მომცემ?

ბურჟუა: რასაც მუშებს ავატყავებ, ნახევარი შენი იქნება.

სახელმწიფო: მუშებს ჩვენც ვაძრობთ ტყავს, შენ ჩვენთვის საჭირო არა ხარ, სხვაგან გასწი.

სახელმწიფოსა და ბურჟუას საუბრის დროს დანარჩენი სახელმწიფოები წრეს არღვევენ და შუაზე გამოდიან, მხოლოდ როდესაც სახელმწიფო ბურჟუას დაუძახებს: „სხვაგან გასწი“, ყველანი გაიქცევიან და სცდილობენ უწინ დანიშნული ადგილი დაიკავონ. ბურჟუაც სცდილობს თავისი კაპიტალი რომელიმე განთავისუფლებულ ადგილზე მოათავსოს. ის, რომელიც უადგილოდ დარჩება, ბურჟუა შეიქნება და თამაშიც თავიდან დაიწყება.

კაპიტალისტების გჯალეგში

შუა მოედანზე მოხაზავენ ოთხკუთხედს, რომელიც კაპიტალისტების საპყრობილეს წარმოადგენს. მოთამაშენი ამოირჩევენ სამ ბავშს, რომელთაგან ერთი კაპიტალისტია და ერთიც საპყრობილეს დარაჯი. კაპიტალისტები თავის საპყრობილესთან დგანან და უძახიან დანარჩენ მოთამაშეებს, რომლებიც მუშებს წარმოადგენენ: „გეშინიათ თუ არა კაპიტალისტების საპყრობილისა!.“ მუშები უპასუხებენ: „არა“ და ამავე დროს მოედნის ერთი ბოლოდან (სადაც მუშები იმყოფებიან) მოთამაშენი გარბიან მეორე ბოლოსკენ. შუა მოედანზე მათ კაპიტალისტები დახვდებიან და ცდილობენ მათ დაჭერას. ვისაც ისინი დაიჭერენ, მოათავსებენ საპყრობილეში (მოხაზულ ოთხკუთხედში დააყენებენ), რომელსაც დარაჯი ყარაულობს.

თუ რომელიმე თავისუფალმა მუშამ გადარბენის დროს მიირბინა დატყვევებულებთან და ტყვეს ხელით მარჯვენა მკლავში შეეხო, ასეთი ტყვე თავისუფალია და შეუძლია გაიქცეს. რასაკვირველია, დარაჯი განთავისუფლების დროს მათ ხელს შეუშლის, ხოლო, მას არა აქვს უფლება საპყრობილეს სამ ნაბიჯზე მეტი მანძილით დაშორდეს.

თუ კაპიტალისტებმა შესძლეს ყველა მუშების დაპატიმრება, მაშინ მუშები ერთხმად დაიძახებენ: „ძირს კაპიტალიზმი“ და უკან დაედევნებიან კაპიტალისტებს და მათ დარაჯს, რომლებიც გაქცევას ცდილობენ.

ამის შემდეგ იწყება კაპიტალისტებისა და მათი დარაჯის გასამართლება.

იყავ მზად

თვითეული პიონერი განსაზღვრულ ადგილს ამოირჩევს და იქ დადგება. ერთი, უადგილოდ დარჩენილი, პიონერი ოთახის შუაზე გაჩერდება და ხმამაღლა დაიძახებს: „იყავ მზად!.“ პიონერები უპასუხებენ: „მზად ვართ!.“, შემდეგ გარბიან და ერთიმეორეს ადგილებს უცვლიან.

უადგილოდ მყოფი პიონერი სარგებლობს შემთხვევით და ცდილობს ვისიმე ადგილი დაიკავოს.

ვინც უადგილოდ დარჩება, ახლა ის გამოდის ოთახის შუაგულში და თამაში ისევ გრძელდება..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრიდან

გამოვა 1926 წ. გამოვა

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი 1

(„წითელი სხივი"-ს მაგიერ)

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ეოველი წევრის, ორგანიზაციის ეოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწეროს:

პიონერი

მიიღება ხელის მოწერა. ჟურნალი ღირს გადაგზავნით

წელიწადში—5 მან.
ექვს თვეს—3 მან.
სამ თვეს—1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომ. სარიატი. „პიონერი"-ს და „ნაპადული"-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.